კვირა 23 დეკემბერი 1923 წ. წელიწადი 1—ლი პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# სოციალის ხმა

№ 6 ყოველკვირეული ჟურნალი № 6

| რედაქცია და კანტორა | ფ ა ს ი | რედაქცია და კანტორა |
|---|---|---|
| ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე" ოთახი № 74. | 1.500.000 მანეთი ამიერ-კავკას. ბონებით | ღ ი ა ა ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა დილის 8 ს. შუად. 1 ს.-დე. |


## რა გავაკეთეთ და რა გვაქვს გასაკეთებელი?

უკვე ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციო ყრილობა დასრულდა.

ამიტომ, როგორც ყოფილ მენშევიკებისათვის, აგრეთვე საერთოთ მუშათა მასებისთვის საინტერესოა აღნიშვნა თუ რა გაკეთდა ამ დროს განმავლობაში.

ამ ყრილობამ გამოყო მაშინ სპეციალური ბიურო, რომელსაც მიენდო სრულიად საკავშირო რესპუბლიკების მასშტაბით ს. დ. პარტიის ყრილობის მოწვევა.

ყრილობის დამთავრებისთანავე რამდენიმე წევრი საინიციატივო ბიუროსი გაემგზავრა საბჭოთა რესპუბლიკებში, რომ მოემზადებიათ ნიადაგი სრულიად საკავშირო ყრილობის მოსაწვევად.

ჩვენმა ამხანაგებმა რამდენიმე მუშათა ცენტრებში გააკეთეს ვრცელი მოხსენებები სრულიად საქართველოს ყრილობის შესახებ და ფართოთ გააცნეს იქაურ მუშებს აქ შექმნილი მდგომარეობა.

მოსკოვში შესდგა საინიციატივო ბიურო, სადაც შეყვანილ იქნა ჩვენი წარმომადგენელი.

ჩვენი ყრილობის ყველა რეზოლიუციები და დეკლარაციები გაიგზავნა რუსეთის თითქმის ყველა ქალაქებში ფართედ გასავრცელებლად რუსეთის მენშევიკებ შორის.

მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფაქტიური ლიკვიდაცია დიდი ხანია რაც მოხდა, მაინც განზრახულია ახლო მომავალში ყრილობის მოწვევა, რომელიც დაადასტურებს შექმნილ მდგომარეობას და დაშლილად გამოაცხადებს მენშევიკურ პარტიას.

ყრილობამ დაგვავალა ჩვენი დადგენილებათა ფართედ გავრცელება გადასახლებულ და იზოლიაციაში მყოფ მენშევიკებს შორის.

ჩვენმა ამხანაგებმა სპეციალურად შემოიარეს როგორც ციხეები, აგრეთვე რუსეთში გადასახლებულები და ბევრი აქტიური მომუშავე მენშევიკური პარტიისა სრულიად შეგნებულად დადგა საქართველოს ყრილობის პლატფორმაზე და დღეს აქტიურად მუშაობს ჩვენს რიგებში.

თანდათან ძლიერდება ჩვენი რიგები ახალი ძალებით, რომლებიც სრულიად შეგნებულად სტოვებენ არა ლეგალურ მუშაობას და მოდიან ჩვენთან და იზიარებენ ჩვენ მიერ დასახულ გზას.

მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ მენშევიკური ცეკა დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა მარქსისტებს და ქალთა ორგანიზაციას.

არალეგალური ცეკა ფიქრობს ახალგაზრდა მარქსისტებში და ქალთა ორგანიზაციაში გამაგრებას.

მაგრამ აქაც განიცადეს სასტიკი დამარცხება და სწორედ ორი თვის შემდეგ დღიდან ჩვენი ყრილობის დამთავრებისა, 5 ათასი ახალგაზრდა მარქსისტი აწყობს სრულიად საქართველოს ყრილობას და შეგნებულად დგება ჩვენს რიგებში.

რაც შეეხება ქალთა ორგანიზაციას, ისიც თანდათან იშლება.

ჩვენი რიგების მექანიკურ ზრდას გარდა, ადგილი აქვს აგრეთვე ერთ ფრიად დამახასიათებელ მოვლენას.

თუ 25—30 აგვისტოს ჩვენი გამოსვლა იყო უმთავრესად დეკლარატიული ხასიათის და ზოგი ამხანაგი ყრილობის შემდეგ ხშირად ეკითხებოდა თავის თავს, ხომ შეცდომა არ ჩაუდენია მას მენშევიკური პარტიის დატოვებით, **დღეს ყრილობის მიერ მიღებულ გზაზე ყოფილი მენშევიკები გაცილებით მტკიცეთ და მეტი შეგნებით დგანან.**

ყრილობის შემდეგ ჩვენს რიგებში ქონდა ადგილი დიდ თეორეტიულ და პრაქტიკულ მუშაობას და ამხანაგები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ყრილობის მიერ მიღებული ხაზი არის სწორი.

ეს იქიდანაც სჩანს, რომ მენშევიკური ცეკას მუშაობა, რომელსაც ის აწარმოებდა ყრილობის შემდეგ დიდი ენერგიით, გამოდგა უშედეგო და უნიადაგო.

მან ვერ მონახა დასაყრდნობი წერტილი მუშათა კლასში და დღეს ეძებს ნიადაგს რეაქციონურ ელემენტებში.

ნოემბერში საინციატივო ბიურომ მოიწვია პლენუმი, რომელსაც დაესწრენ პროვინციელი ამხანაგებიც.

ამ პლენუმმა დაადასტურა:

1. თანდათანი გაძლიერება ჩვენი რიგების და გავლენის.

2. ყოფილ მენშევიკების განმტკიცება ყრილობის მიერ მიღებულ პოზიციებზე.

3. დიდათ დაინტერესება, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში ჩვენი ჟურნალით.

4. უნიადაგობა და უშედეგობა მენშევიკურ არალეგალურ ორგანიზაციების მუშაობისა.

მაგრამ ამ პლენუმმა ისიც აღიარა, რომ ადგილობრივად კავშირი კომპარტიასა და ყოფილ-მენშევიკურ მასას შორის სუსტია.

ამიტომ ამ პლენუმის შემდეგ აშკარა შეიქნა კომპარტიის ცეკასთან დაარსება სპეციალურ კომისიისა, რომელიც დაიხახავდა მიზნათ კომპარტიის ცეკას ოქტომბრის პლენუმის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას ყოფილ მენშევიკთა შესახებ.

ასეთი კომისია უკვე იქმნა არჩეული, ხოლო საინციატივო ბიურო, მისი ფუნქციების, მოსკოვში გადატანის გამო, დაშლილ იქნა.

საქართველოს კომპარტიის ცეკას სექტემბრის პლენუმმა დაადგინა, რომ ყოფილი მენშევიკები, როგორც დიდი კულტურული და პოლიტიკური ძალა, გამოყენებულნი ყოფილიყვნენ საბჭოთა აღმშენებლობაში, პროფკავშირებში და თვით პარტიაშიც.

ვინაიდან ჩვენ დავადგინეთ სალიკვიდაციო ყრილობაზე, რომ არავითარ ცალკე ორგანიზაციას არ ვქმნით, ვიღებთ სრულიად კომპარტიის პროგრამას და ვდგებით კომინტერნის დროშის ქვეშ, აქედან ლოღიკური დასკვნა იყო, რომ აქტიური ელემენტი ყოფილი მენშევიკებისა შევიდოდა კომპარტიაში.

ბევრი ამხანაგი ჩვენი რიგებიდან უკვე მიღებულია კომპარტიაში საკანდიდატო სტაჟის გაუვლელად.

მიღებულია თითქმისყველა მუშები, ვინც კი შეიტანა განცხადება.

რასაკვირველია, უმთავრესად იღებენ მუშებს და შემდეგ გლეხებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ჩვენს რევოლიუციონურ მოძრაობაში.

რაც შეეხება ყოფილ მენშევიკების საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმის საკითხს, ამ სფეროშიაც ბევრია გაკეთებული. ყველგან არიან ყოფილი მენშევიკები არჩეულნი საბჭოებში, აღმასკომებში, პრეზიდიუმში და საქართველოს საბჭოთა ყრილობაზეც.

**ყოფილი მენშევიკების მოვალეობაა ეხლა,** რომ იმ ორგანოებში, სადაც ისინი არიან არჩეულნი, **გამოიჩინონ მეტი ენერგია, საქმის უნარი და შეიტანონ ახალი ნაკადი ამ ორგანოთა მუშაობაში.** ამით ჩვენ გავამართლებთ იმ ნდობას, რომლითაც ჩვენ მოგვეპყრენ.

**ახეთი ენერგიის, დისციპლინის და პრინციპების სიწმინდის გამოჩენა მართებთ იმ ამხანაგებსაც, რომლებიც შევიდენ ან შევლენ შემდეგში კომუნისტურ პარტიაში.**

ყოფილი მენშევიკები უნდა გახდენ კომპარტიის საუკეთესო წევრებად,—აი ჩვენი ამოცანა.

ჩვენს რიგებში იყო ბევრი უმუშევარი, რაც სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს იმ პარტიისთვის, რომელიც ებრძოდა არსებულ წესწყობილებას.

დღეს კი, როცა ჩვენ მთელი ჩვენი ენერგიით ვამაგრებთ ამ წესწყობილებას, ცხადია, ეს ამხანაგები უნდა დაბრუნებოდენ ძველ ადგილებს და ჩაბმოდენ საბჭოთა აღმშენებლობაში.

ეს საქმეც გაკეთებულია. თითქმის ყველა უმუშევარი ამხანაგი მოწყობილია სამუშაოზე.

თუ კიდევ დარჩა რამდენიმე ამხანაგი, ისინიც ამ მოკლე ხანში მოეწყობიან სამუშაოზე

ყოფილი მენშევიკები ჩაბმულნი იქნენ აგრეთვე პროფესიონალურ მუშაობაშიაც.

თითქმის ყველა კავშირების გამგეობებში და ადგილკომებში იქნენ გაყვანილნი კანდიდატები ყოფილ მენშევიკებისაგან.

ამნაირად 25—30 აგვისტოს ისტორიულ დღეებს მოყვა ჩვენი ჩაბმა პარტიულ, პროფესიონალურ და პოლიტიკურ მუშაობაში.

**კომუნისტურმა პარტიამ გამოიჩინა დიდი ნდობა ჩვენდამი. ჩვენი ვალია ამ ნდობის სრული გამართლება.**

პროვინციაში ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ ვერ დამყარდა საკმაო კონტაქტი კომპარტიასა და ყოფილ მენშევიკების მასსას შორის.

**ეს კონტაქტი, მეგობრული ატმოსფერა, ნდობა უნდა განმტკიცდეს აუცილებლად და ამ მხრით დიდი მუშაობა, დიდი ენერგია სჭირიათ ყოფილ მენშევიკებს, რომ დაიმსახურონ ეს ნდობა.**

ის ყოფილი მენშევიკები პროვინციაში, რომლებიც უკვე შევიდენ კომპარტიაში, უნდა გახდენ შემაერთებელ ხიდათ ყოფილ მენშევიკებსა და კომპარტიას შორის.

მართალია, მენშევიკური პარტია აღარ არსებობს, მაგრამ მისი ნამსხვრევები აქა იქ ყველგან არიან დარჩენილნი. ეს უგუნურნი კიდევ განაგრძობენ ჩვენი მუშათა კლასის და ქვეყნის დამღუპველ პოლიტიკას.

**საჭიროა ბრძოლა ამ ელემენტების გამოსაფხიზლებლად.** უნდა დაუმტკიცოთ მათ ჩვენს რიგებში დადგომის საჭიროება.

დღეს საბჭოთა აპარატებში მოიპოვება არა ერთი რეაქციონერი, ძველი ნიკოლოზის ჩინოვნიკი და საბჭოთა წესწყობილების მტერი.

კომუნისტურ პარტიასთან ერთად ამ ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

**საჭიროა ჩვენს დაწესებულებებში შევიდეს მეტი მუშური ელემენტი, საჭიროა ამ დაწესებულებათა განთავისუფლება მტრებისაგან.**

ამ აპარატებში უნდა ჩაბმულ იქმნენ კომუნისტებთან ერთად ყოფილი მენშევიკები, მათ უნდა შეიტანონ აქ მუშური სული და განდევნონ იქიდან ბიუროკრატიზმი.

ეს მუშაობაც უკვე დაწყებულია და, იმედია, სასურველად გათავდება.

ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, რომ მიუხედავათ იმისა, იურიდიულად ვითვლებით თუ არა კომპარტიის წევრად, 30 აგვისტოს შემდეგ ფაქტიურად უკვე კომუნისტები ვართ და ვახორციელებთ კომპარტიის იდეებს, პროგრამას. **მთელი ჩვენი მასსა უნდა იდგეს ფაქტიურად კომპარტიის დროშის ქვეშ და ახორციელებდეს ამ პარტიის დირექტივებს.**

კომუნისტური პარტია დღეს ჩვენი პარტიაა, მიუხედავათ იმისა გვაქვს თუ არა ჯიბეში პარტიული ბილეთი, ამიტომ **საჭიროა მეტი ორგანიული კავშირი ამ პარტიასთან, ფაქტიურად დარაზმვა ამ პარტიის რიგებში, დამტკიცება საქმით, რომ ყოფილ მენშევიკებს, ძველ რევოლიუციონერებს, შეუძლიათ გამართლება იმ ნდობის, რომელსაც ჩვენ კომპარტია გვიცხადებს, და განაღდება იმ თამასუქების, რომლებიც ჩვენ 25—30 აგვისტოს მივეცით კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.**

---

# „სტრატეგია“.

მენშევიკურ პარტიის დაშლა ისეთი სწრაფი ტემპით მიდიოდა, რომ მენშევიკური ცეკა ერთ ხანს სრულიად დაიბნა და არ იცოდა რა ექნა.

მაგრამ შემდეგ, როცა ეს პარტია სრულიად დაიშალა, ცეკა მოდის გონზე და აწყობს სტრატეგიულ პლანებს ამ დაშლის შესაჩერებლად.

მენშევიკების ცეკის თავმჯდომარეს ნ. ხომერიკს უპოვეს ბევრი საბუთები. მათ შორის მეტად საინტერესოა თეზისები მენშევიკური პარტიის დაშლის შესახებ, რითაც ცეკა ფიქრობს პარტიიდან წასულების შემონახვას.

ძველი ტაქტიკა ცეკასი—ლანძღვა-გინება წასულების, მოღალატეებად მონათვლა პარტიიდან გასულების—ეხლა უარყოფილია, რადგან ამ ტაქტიკამ უფრო გაამრავლა პარტიიდან წასულთა რიცხვი.

ამიტომ ამ თეზისების მე-ნ მუხლში ვკითხულობთ:

— „ეჭვს გარეშეა, რომ პარტიიდან გასულების 95°/₀ საქართველოს და საქართველოს ხალხის ერთგული რჩება. ჩვენებმა, ყოველ შემთხვევაში მომავალში, ხელი არ უნდა კრან მათ, მათ რბილათ უნდა მოეპყრან (რასაკვირველია, მასას, მაგრამ არა რენეგატებს). ამ ხალხს არ უნდა მოვუჭრათ გზები“.

— „საერთოდ მეტი ყურადღებაა საჭირო მასის სულიერი განწყობილებისადმი და დაღლილობისადმი. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს და ტაქტიკა უნდა შეიცვალოს“.

აი ამას ურჩევს თავის აგენტებს ცეკა.

აქედან მკითხველი აუცილებლად გამოიყვანს შემდეგ დასკვნას.

— მას შემდეგ, რაც მენშევიკურმა ცეკამ დაკარგა პარტია, პარტიული მასსა და ის დარჩა ჰაერში გამოკიდული, ის იძულებული გახდა ლმობიერად მოპყრობოდა პარტიიდან გასულ ხალხს იმ მიზნით, რომ ეს მასსა დარჩენილიყო მენშევიზმის „რეზერვად“, მენშევიზმის გავლენის ქვეშ.

ყურადღებას იპყრობს აქ ის ადგილიც, სადაც ლაპარაკია არა მუშათა კლასზე, რომელიც კაი ხანია დაივიწყა მენშევიკურმა ცეკამ, არამედ საქართველოს ხალხზე და საქართველოზე.

„ტაქტიკის შეცვლის“ მიზნით ს. დევდარიანმა რამდენიმე ანკესი უკვე გადმოისროლა ჩვენსკენ, რომ შეეჩერებია ჩვენი მოძრაობა.

ის აღიარებდა ტაქტიკის შეცვლას, „ახალი გზების“ ძებნის საჭიროებას და სხვა, მაგრამ მისი ანკესები ეზიდებოდენ მასსას იმ ძველი ტაქტიკისაკენ, რომელმაც დააშორა მენშევიკური პარტია კლასთა ბრძოლას, მუშათა კლასის ინტერესებს, სოციალიზმის გზებს.

ამიტომ ს. დევდარიანის მანევრები დამთავრდა ცეკას უკანასკნელი კადრების განადგურებით. ს. დევდარიანმა ვერ შეაჩერა შუა გზაზე არა თუ პარტიიდან წასული ხალხი, არამედ ისინიც კი, რომლებიც ყრილობამდე პარტიაში ითვლებოდენ. ყრილობის შემდეგ ჩვენსკენ დაიძრენ ისინიც კი, რომლებიც წინეთ ურწმუნო თომებათ და ჯიუტებად ითვლებოდენ ჩვენი მხრით და რომელთა მორჯულება ძნელი გვეგონა.

ამ მხრით ჩვენი ხაზის სრულ გამარჯვებაში ძალიან შეგვიწყო ხელი ს. დევდარიანმა თავისი წერილებით.

რომ მენშევიკური ცეკა მოწყვეტილი იყო პარტიული მასსისგან, ეს ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს.

ამას იმეორებს თეზისებში არა ლეგალური ცეკაც:

— უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი კრიზისის დროს ორგანიზაცია კარგავს კონტაქტს მასასთანდა ხელს უწყობს კრიზისის არანორმალურ დაბოლოვებას,—ვკითხულობთ ჩვენ შემდეგთ ეზისებში.

კრიზისი დამთავრდა სალიკვიდაციო ყრილობით. ცეკას ენაზე ეს ნიშნავს „კრიზისის არანორმალურად დაბოლოვებას“.

ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეს კრიზისი დამთავრდა სრულიად ნორმალურად. მასსა უნდა მოშორებოდა იმ ორგანიზაციას, რომელიც თავისი ტაქტიკის წყალობით უკვე მოწყდა პარტიულ მასსას.

— „კარგი სარდლობა სრულიად არ გულისხმობს უკან არ დახევას მრისხანე მტრის შეტევის გამო—ვკითხულობთ ცეკას თეზისების მეათე მუხლში,—მაგრამ თავის ძალების გათვალისწინება და წესრიგით უკან დახევა, რომ შემდეგ არ გვეძებნა თხებივით გაბნეულები და დეზერტირები. სამწუხაროდ, ეს შეცდომა ჩვენ ნაწილობრივ დავუშვით“.

— „შესაძლებელია დავაგვიანეთ,—ვკითხულობთ მეშვიდე მუხლში,—მაგრამ ვფიქრობთ: რომ განვაგრძოთ და დავამთავროთ ლეგალიზმის დემობილიზაცია, ეს უკეთესი იქნება“.

ამნაირად ცეკამ აღიარა არა თუ ჩქარი ტემპით დაშლა პარტიის, არამედ თავისი შეცდომებიც, ძველი ტაქტიკის უვარგისობა, კონტაქტის დაკარგვა მასსასთან, მოწყვეტა პარტიისაგან, უვარგისობა მათი სარდლობის.

ესაა სრული კაპიტულიაცია მენშევიკური ცეკასი იმ ისტორიული მოძრაობის წინაშე, რომელიც დამთავრდა ჩვენი სალიკვიდაციო ყრილობით და კომინტერნის პლატფორმის მიღებით.

წყალ-წაღებული ხავსს ეკიდება და აი მენშევიკური ცეკაც ფიქრობს:

— ეს ხალხი წავიდა, მას ვერ დავეწევით, მაგრამ კეთილი სიტყვა მაინც ვუთხრათ „რბილათ მოვეპყრათ“, იქნება ოდესმე მაინც გავახსენდეთო.

გვიანაა ეს, ბატონებო!

ადრე უნდა გეფიქრათ ამის შესახებ.

ჯიუტობის მაგიერ თქვენ თვითონ უნდა გამოსულიყავით ხელმძღვანელი ჩვენი ყოფილი პარტიის ხაზის გადათვალიერების და ტაქტიკის შეცვლის, როგორც ამას ქონდა ადგილი რუსეთის ბევრ ორგანიზაციებში და ხელმძღვანელებში (მოიგონეთ მარტინოვი, სემკოვსკი, როჟკოვი, პლესკოვი და სხვა წევრები რ. ს. დ. მ. პ. ცეკასი).

მაშინ, როცა ჩვენ კატეგორიულად ვსვამდით კითხვას პარტიის ძველი ტაქტიკის უარყოფის შესახებ, მენშევიკური ცეკა ჯიუტობდა, გაბერილი სიტყვებით გვიპასუხებდა, რომ მისი ტაქტიკა სწორია, პარტიას არავითარი საფრთხე არ მოელის, და ჩვენ გვლანძღავდა, ქუჩური სიტყვებით გვიმასპინძლდებოდა.

დღეს კი თვითონვე აღიარებენ, რომ ამ კრიზისმა უკვე დაანგრია პარტია, ძველმა ტაქტიკამ დააკარგვინა მათ პარტიული მასსა.

მაგრამ, როგორც სჩანს, ჭკუა მათ მაინც ვერ უსწავლიათ.

ჩვენი სალიკვიდაციო ყრილობა ბევრი გაკვეთილის მომცემია.

ამ ყრილობას დაკვირვება, ჩაფიქრება ესაჭიროება.

მენშევიკურ ცეკას თუ უნდა ჩვენი მუშათა კლასის სიკეთე, ის უნდა დადგეს ამ ყრილობის მიერ მიღებულ ხაზზე, ე. ი. ის უნდა იყვეს იქ, სადაც არის დღეს 17 ათასი ყოფილი პარტის წევრი და მარქსისტული ახალ გაზრდობა.

მაგრამ ის მაინც ძველ ტაქტიკაზე სდგას.

ის კვლავ აგრძელებს შემცდარ ხაზს და მოშორებულია სოციალისტურ გზას.

ამ მხრით ფრიად დამახასიათებელია განცხადება ქუთაისის არალეგალურ კონფერენციაზე თავმჯდომარის, რომელმაც კონფერენციის გახსნისას განაცხადა შემდეგი:

— „ეხლა ჩვენ ვაკეთებთ არა პარტიის საქმეს, არამედ მთელი ერის განთავისუფლების საქმეს, ქართველი ერის ყურადღება ჩვენკენაა მოპყრობილი, იგი ჩვენგან ელის ხსნას“.

დიახ, მენშევიკური ცეკა და მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელები, რომ პარტიის საქმეს არ აკეთებდენ და არ აკეთებენ,-ეს ჩვენ კარგად ვიცით. სწორეთ ამან მოაშორა მათ პარტიული მასსა.

ისიც ვიცით, რომ მთელი რეაქციონური ნაწილი ქართველი ერისა, ყოფილი ფეოდალები, თავადაზნაურები, რომლების მდგომარეობა მეტად შევიწროებულია მუშა—გლეხთა მთავრობის ხელში, ეხლა ხსნას გლეხების და მუშების სისხლის სასმელად არალეგალურ მენშევიკურ ცეკასგან და მის მიერ მოწყობილ ბანდებისგან ელის. მენშევიკურმა ცეკამ თავის თეზისების პირველ მუხლშივე აღიარა:

— „კრიზისი ჩვენი პარტიის ორგანიზაციის რიგებში შექმნა არა ვისიმე მოღალატურმა გამცემლობამ; არა, მისი მიზეზები უფრო ღრმა არის: ხანგრძლივი ომები, რევოლიუცია, ხანგრძლივი ნაციონალური ბრძოლა, აგრეთვე ნაწილობრივ ტაქტიკა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით, მუდამ იარაღის ჟღარუნის ტაქტიკა, ხალხისა და პარტიული მასსის დაღლილობა და სხვა“.

და ეხლა, როცა თავისი შემცდარი ტაქტიკით და მოღალატეობით საშინლათ და სრულიად უმიზნოთ დაქანცეს მასა, რასაკვირველია, ამ უკანასკნელმა უარყო, როგორც შტაბი მოღალატეთა-ცეკა, აგრეთვე ამ მოღალატეთა გზა, შემცდარი ტაქტიკა და აირჩიეს მუშათა კლასისთვის მისაღები გზა.

და რამდენიც არ უნდა უსვან თავზე ხელი ჭეშმარიტ გზაზე დამდგარ მასას და როგორ „რბილადაც“ არ უნდა მოეპყრან მათ, სულერთია, დაბრუნება ძველი, შემცდარი, მოღალატური გზისაკენ ყოვლად შეუძლებელია.

და იმ საშინელი შეცდომების გამოსწორება, რომელიც ცეკამ ჩაიდინა პარტიისა და მუშა-შათა კლასის წინაშე, შეიძლება მხოლოთ ერთი გზით:

— თუ ცეკას ხელმძღვანელები მოელენ ჭკუაზე დაანებებენ თავს ჭორებს და გვერდში ამოუდგებიან 17 ათას ყოფილ მენშევიკებს და ახალგაზრდა მარქსისტებს, რომლებიც დაირაზმენ კომინტერნის დროშის ქვეშ.

ა. რუხაძე.

# პირველ გმირებს*)

უთანასწორო ბრძოლა მოიგეთ,
სძლიეთ სიბნელე და გასაჭირი,
ჩვენს ქვეყანაში ორი გამოჩნდით
მუშათა შორის პირველი გმირი.
იმ დროს, როცა მუშის სახელი
არვის ყოფნიდა სასაცილოდა,
მუშის ხსენება მუშის ცოლშვილსაც
გულში მიაჩნდა სათაკილოდა,
ყველაზე ძლიერ სალანძღავ სიტყვად
სახელი „მუშა“, რომ ითვლებოდა,
მის ხსენებაზე თვით მუშაც გულში
მრავალჯერ მწარედ რო ღონდებოდა,
იობისავით გადაგდებულებს,
პირუტყვებზედაც დაბლა ცნობილებს,
თქვენ მოევლინეთ პირველ მალამოდ,
თქვენ უამებდით მწარე ტკივილებს.
ყველა თქვენ გმტრობდა, ყველა თქვენ გგმობდა
მაღლა ცა, დაბლა ხმელეთი და ზღვა,
მაგრამ ყველაზე ძლიერ გტანჯავდათ
მუშის გულისკენ მიმავალი გზა.
მრავალთა წელთა განმავლობაში
ერთად იტანჯეთ, ერთად ილვაწეთ,
მანამ სწორი გზა მუშის გულისკენ
სავსებით, სრულად არ მიიყვანეთ.
ბოლოს ერთმანეთს თუმცა დაშორდით,
მიზანი მაინც ისევ იგია,
რომელიც სჯობნით გზის არჩევაში,
ზოგიერთს ჯერაც ვერ გაუგია.
ერთი ყველას გვწამს და ყველას გვჯერა,
ათასნაირმა დაჰბეროს ქარმა,
ვერ წარმოვიდგენ თქვენი სახელი,
რომ დაივიწყოს მუშათა ჯარმა.
პირიქით, ვინც რომ თქვენი დიდი
სახელის წაშლას გულში გაივლებს,
ამ გვარი ზრახვით ის მომაგონებს
ჩვენი ქვეყნისა უმადურ შვილებს.
გრძნობა გონების ძეგლი მრავალი
მუშათა გულში თქვენთვის იდგმება,
სად „ტაიფუნი“ გადაიარის,
იქიდან იგი არ წაიშლება.
უთანასწორო ბრძოლა მოიგეთ,
სძლიეთ სიბნელე და გასაჭირი,
ჩვენს ქვეყანაში ორი გამოჩნდით
მუშათა შორის პირველი გმირი.

მ. ჯიბლაძე.

# ჩვენი მორიგი ამოცანები.

(დისკუსიის გამო.)

ჩვენი ყრილობის დასრულების შემდეგ უკვე კარგა ხანი გავიდა.

დღისწესრიგში დაისვა კითხვა ყრილობის დადგენილებათა იმ ნაწილის ცხოვრებაში გატარების შესახებ, რომელიც ყოფილ მენშევიკურ მასსის ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან დაახლოვებას შეეხება.

რა გზას უნდა დავადგეთ?

როგორ მიუდგეთ ამ საქმეს მოხერხებულად და მიზანშეწონილად?

აი ის კითხვა, რომელიც აღიძრა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, და რომელსაც უსათუოდ პასუხის გაცემა სჭირია.

---

*) ეს ლექსი დაწერილია განსვენებულ ს. ჯიბლაძე და მეცხოვან რევოლიუციონერ მიხა ცხაკაიას 1897—9 წლების მოღვაწეობის მოსაგონებლად.

რა თქმა უნდა, აქ ორი აზრი ჩვენი მუშაობის მთავარი ხაზის შესახებ არ შეიძლება არსებობდეს.

ის საკმაოდ გარკვეულია და ნათელი.

ყრილობამ ხაზგასმით შემოფარგლა ჩვენი სამოქმედო ასპარეზი, რომელიც ამოიწურება ჩვენი დაახლოვებით კომუნისტურ პარტიასთან და თანდათანობით მის რიგებში დადგომით, მაგრამ მარტო მიღება ამა თუ იმ დებულების, გაზიარება ამა თუ იმ გეზის, როდი კმარა.

საჭიროა მისი ცხოვრებაში გატარებაც და ამ მხრივ უნდა მიუდგეთ სწორედ საკითხს. საჭიროა გზების გამონახვა დადგენილებათა ხორცის შესასხმელათ და აი აქ უნდა მიექცეს ყურადღება ზოგიერთ ისეთ პრაქტიკულ მხარეებს, რომელიც პირველი შეხედვით თითქოს მეორე ხარისხოვანათ არის მიჩნეული, მაგრამ რომელთა სისწორით გადაჭრაზე არის დამოკიდებული უმთავრესათ მთელი საქმე. ჩვენი და კომუნისტური პარტიის შორის ურთიერთობის გარშემო ფრიად საინტერესო კამათი გაიმართა „სიმართლის ხმის“ მე-5 ნომერში ამხ. ი. ქორქიასა და არჩ. რუხაძის შუა.

ორივე ამხანაგი ერთ საკითხს ეხება: როგორ უნდა დაირაზმოს ჩვენი მასსა: კომპარტიასთან თუ კომპარტიაში?

(ეს ფრიად საყურადღებო და მტკივნეული საკითხია ჩვენთვის. მის გარშემო აზრთა გაცვლა გამოცვლა უსათუოდ საჭიროა და ეს დღემდის რომ მომხდარიყო უკეთესი იქნებოდა).

ამხ. ქორქია სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგისათვის, განსაკუთრებით პროვინციაში, შეიქნა „ფსიქოლოგიური“ სიძნელე კომუნისტურ პარტიაში შესვლისათვის.

ჩემის აზრით არა მარტო „ზოგიერთ“ ამხანაგებზედ ითქმის ეს.

პირველი შეხედვით ეს „სიძნელე“ თითქოს არც კი უნდა არსებობდეს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ლოღიკის კანონების მიხედვით, არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ეს ფაქტია და აქ ვერ გვიშველის ასეთი მსჯელობა:

„30 აგვისტოს ჩვენ მოვიშორეთ ზურგიდგან დაგროვილი ცოდვები, მივიღეთ „ნათლისღება“ ახალ ემბაზში და დროა დავივიწყოთ წარსული, გაუსვათ აწმყოსა და წარსულს შორის დემარკაციული ხაზი და მაგრათ დავსდგეთ ახალ გზაზე“. (იხ. ამხ. რუხაძის წერილი იქვე). ფაქტი არის, მას ანგარიში უნდა გაეწიოს და უნდა მოინახოს და შეძლებისდაგვარად თავიდან იქნას აცილებული ის ხელის შემშლელი პირობები, რომლის გამო ამა თუ იმ მოვლენას აქვს ადგილი.

როგორ სდგას ჩვენი ამხანაგების კომუნისტურ პარტიაში გადასვლის საკითხი?

აი კითხვა, რომელიც უნდა გვაინტერესებდეს და რომლის სისწორით გადაჭრაზეა დამოკიდებული, როგორც დაძლევა „პსიქოლოგიურ სიძნელეთა“, ისე „ახალ გზაზე მაგრათ დადგომის“ საქმეც: რა კეთდება იმისათვის, რომ თორმეტი ათასი ყოფილი მენშევიკი თუ კომუნისტურ პარტიაში ვერ შევა მთლიანათ, კომუნისტურ პარტიასთან მაინც იყოს აქტიურათ?

რა კეთდება იმისათვის, რომ რამოდენიმე ათასი ბრძოლას შეჩვეულ, ბრძოლაში გამობრძმედილი ამხანაგი არ მოიცვას ინდიფერენტიზმმა და „25“ აგვისტოზე გულ აცრუებული არ დარჩეს?

ამხ. რუხაძეს უკვირს, როგორ შეიძლება კაცმა მიიღო კომინტერნის პლატფორმა, გაიზიარო მისი ტაქტიკა, მაგრამ, პარტიაში რომ არ მიგიღონ, ამისათვის 25 აგვისტოზე გულ ნატკენი დარჩეო.

ვთქვათ, ის, ვინც კომინტერნის პლატფორმა გაიზიარა, კომუნისტური პარტიის კარებზე დაუკაკუნა, მის რიგებში შესასვლელათ იყო მოწადინებული, არ მიიღეს, უარით გამოისტუმრეს. რა უნდა ქნას ასეთმა ამხანაგმა? ის მოვიდა რევოლიუციასთან, აღიარა თავისი შეცდომა, ეზიარა მას და... საშვალება კი არ აქვს მის დამცველთა რიგებში იყოს: ნუ თუ მას ინდიფერენტიზმი არ შეიპყრობს? ნუ თუ მას, მრავალი წლების განმავლობაში პარტიულ მუშაობას შეჩვეულს არ გაუჭირდება ყოველ გვარ პოლიტიკურ პარტიის გარეთ დარჩენა?

ანგარიში გასაწევია თუ არა ეს ფაქტი.

არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ ყველა 12 ათასი ერთბაშათ შევიდეს კომუნისტურ პარტიაშიო, ამბობ, ამხ. რუხაძე. რა თქმა უნდა ეს შეუძლებელია, ამისათვის დროა საჭირო და ეს დრო არც ისე მცირე იქნება, ერთი ორი, სამი და შეიძლება მეტი წლებიც დასჭირდეს ამ დიდი საქმის გაკეთებას:

ამ ხნის განმავლობაში რა უნდა აკეთოს ამ მუდმივ დუღილს და ბრძოლას შეჩვეულმა ხალხმა?

ჩაებას ქვეყნის აღმშენებლობით მუშაობაში, გვიპასუხებენ ვიცი, მაგრამ ჩვენს რიგებში ხომ უმთავრესად ძველი პარტიული სტაჟის მქონე, პარტიულ ცხოვრების შეჩვეული ამხანაგებია თავმოყრილი?

მართალია ჩვენთან არ არიან „დიდი“ სახელები, ბელადები, მაგრამ ჩვენთან ერთად არის სწორედ ის მასსა, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა მრავალი წლების ქარტეხილი და შეეზარდა შეუსისხლხორცდა მას.

ნუ ურჩევთ მას ერთი, ორი და შეიძლება მეტი წელიც ყოველგვარ პარტიულ ცხოვრების გარეშე დგომას.

რა თქმა უნდა ეს არ არის მისაღები. თუ ეს ასე მოხდა, რასაკვირველია მოხდება „გულ გატეხა“ 25 აგვისტოზე და ეს, მოხდება სწორედ იმიტომ, რომ 25 აგვისტოს მოხდა დიდი აქტი პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლისა და არა პოლიტიკური თვითმკვლელობა, სწორედ იმიტომ, რომ მასსამ შეაქცია რა ზურგი ერთ კარებს, მეორეს მიადგა და აქ მას კარები დახურული არ უნდა დახვდეს, ის არ უნდა დაიფანტოს.

და თუ ეს ასე მოხდა, არ, მგონია, რომ ეს ვინმესთვის ხელსაყრელი იყოს.

მაშინ, როდესაც კომუნისტური პარტია მთელ ძალღონეს იკრეფს, რათა დაუახლოვოს ქალაქი სოფელს, რათა გატარდეს ეგრედ წოდებული „სმიჩკა“, მაშინ, როდესაც ის უამრავ ენერგიას ხარჯავს იმისათვის, რომ „დაიპყროს“ მასსები, რა თქმა უნდა, მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა უკვე საბჭოთა დროშის ქვეშ გადმოსული და დარაზმული მასსა დავფანტოთ, „ინდიფერენტიზმისა და გულცივობის მორევში გადავისროლოთ.

ხოლო, რომ ასეთი შედეგი თავიდგან იქნეს აცილებული, ამისათვის არ კმარა მხოლოდ ის, რომ „რამოდენიმე“ ამხანაგი გადავიდეს კომუნისტურ პარტიაში და დანარჩენი მასსა კი თავის ანაბარათ დარჩეს მიტოვებული.

როგორც ვსთქვით, მაშასადამე, აქ ორგვარი ხასიათის დაბრკოლება არსებობს:

1) ფსიქოლოგიური და 2) ობიექტიური.

ორივე ამ დაბრკოლებათა დასაძლევათ საჭიროა სისტემატიური და გეგმა-შეწონილი მუშაობა.

რაში მდგომარეობს პირველი მიზეზი?

სრულიად სამართლიანად აღნიშნა ამხანაგმა ქორქიამ, რომ ჩვენს ამხანაგებს ზურგზე ჰკიდია რამდენიმე ათეულ წლების პარტიული ცხოვრება, ტრადიცია, ზნე ჩვეულება. ყველაფერი ამის მოცილება ერთი ხელის დაკვრით, ერთი მოქნევით ძნელი საქმეა, ამას უნდა დიდი მუშაობა, მუშაობა და კიდევ მუშაობა.

მეორე, ობიექტიურ დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ კომუნისტურ პარტიის რიგებში შესვლის საზოგადოთ პირობები არ არის იოლი.

ამაზე მიუთითებს ამხ. ზინოვიევიც „პარტიის ახალი ამოცანების“ შესახებ გაზ. „პრავდაში“ მოთავსებულ წერილში, ის აღინიშნავს, რომ საზოგადოთ უნდა გაადვილებული იქნეს მუშების პარტიაში მიღების საქმე. უნდა იქნეს აცილებული თავიდან ზოგიერთი ფორმალური მხარეები, რაც ართულებს მუშების კომუნისტურ პარტიაში შესვლას.

მაგრამ რა რიგაც არ უნდა გაადვილდეს ჩვენი მასსისათვის კომუნისტურ პარტიაში მიღების პირობები, ჩვენ, გარდა მცირე გამონაკლისისა, იქ მაინც ვერ შევალთ, როგორც მასსა, რადგან, სრულებით არ გვემეტება მუშათა პარტია დასანგრევათ.

დღეს დღეობით ჩვენთვის ლოზუნგი „კომპარტიაში“ ვერ გახდება დამკვრელ ლოზუნგათ. სინამდვილეში არ არის საამისო პირობები და არც მიზანშეწონილია ის, როგორც გეგმა.

სწორედ ამიტომ საჭიროა მთელი ჩვენი ენერგია მიიმართოს იქითკენ, რომ 12 ათასი მუშა და გლეხი ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრები მჭიდროთ დავრაზმოთ „კომუნისტურ პარტიასთან“ და მის გვერდით შემოვინახოთ ის.

უსათუოდ მრთალია ამხ. რუხაძე, როდესაც ამბობს: „პარტიაში იურიდიულათ დარაზმისათვის საჭიროა მომზადება, შეთვისება არა მარტო კომინტერნის პლატფორმის, არამედ დისციპლინის, ტრადიციების და სხვა“.

მართალია იმიტომ, რომ კომუნისტური პარტიის რიგებში ჩადგომა, რა რიგ გაადვილებული პირობები არ უნდა შეიქნეს, მასსიურად შეუძლებელია.

მაგრამ კომპარტიაში შესვლას არ უნდა ჰქონდეს არც შემთხვევითი ხასიათი; ის უნდა ხდებოდეს სისტემატიურად, გეგმა-შეწონილათ და თანდათანობით, მასსა თანდათან უმტკივნეულათ უნდა დავრაზმოთ კომინტერნის დროშის მატარებელ იურიდიულ ორგანიზაციაში, როგორ უნდა მოხდეს ეს მომზადება

შეძენა ტრადიციის, დისციპლინის და სხვა. როგორ უნდა დაირაზმოს ეს მასსა თანდათანობით კომპარტიის რიგებში და, დაბოლოს, როგორ უნდა იქნეს ის გამოყენებული საბჭოთა რესპუბლიკის აღმშენებლობითი პროცესში მიზანშეწონილად?

აი უმთავრესი კითხვები, რომელსაც უმთავრესი ყურადღებაც უნდა მიექცეს

საქმე იმაშია, რომ ყრილობის გათავების შემდეგ ჩვენი მასსა თითქმის თავის ანაბარა დარჩა მიტოვებული.

კომუნისტურ პარტიასთან ის მჭიდრო კავშირში ჯერ ჩაბმული არ იყო, რომ ბიუროები გაუქმდა და ეს მასსა დარჩა თითქოს ჰაერში გამოკიდებული.

განსაკუთრებით ეს ითქმის ადგილებზე. მართალია, აქ, თბილისში არსებობდა ბიურო და ორგანოც, მაგრამ ის მოწყვეტილი შეიქნა პროვინციებისგან და ამ რიგათ დაჰკარგა მათთან კავშირი.

შემაერთებელი ხიდი, რომელიც ყრილობის დამთავრებამდის გაიდო პარტიასა და ჩვენი მასსის შორის, ამ რიგათ ჩაიშალა და მასსაც მოწყვეტილი დარჩა. მას სწორედ ამ წყეული „ფსიქოლოგიური“ მიზეზების გამო გაუძნელდა დაახლოვება პარტიასთან.

რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში მასსა გვყავს და არა გამონაკლისები რამოდენიმე პიროვნებების სახით.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში „დისციპლინის“, „ცოდნის“, და სხვა ამგვარის შეძენა-შეთვისებაზე ამ მასსის მიერ ლაპარაკიც ზედმეტია.

უსათუოდ უნდა შეიქნეს ისეთი პირობები, როდესაც მასსას ექნება საშვალება აქტიურად ჩაებას ცხოვრებაში, შეიგნოს ცოდნა, გამოიწაფოს დისციპლინაში და ამასთანავე თანდათანობით საშვალება ექნეს გადავიდეს კომპარტიაში.

უნდა შეიქნეს ისეთი პირობები, რომ „ფსიქოლოგიური“ მომენტი შედარებით უმტკივნეულათ იქნას დაძლეული.

რა თქმა უნდა, ამისდამიხედვით კომპარტიაში შესვლის პირობებიც უნდა გაადვილდეს. ამისათვის კი საჭიროა აღდგენა კავშირის ამ მასსასთან.

კონკრეტიულად:

1. კომპარტიის ცეკასთან არსებულ კომისიის ანალოგიური კომისიები უნდა დაარსდეს სამაზრო პარტკომებთან და რაიკომებთან.

2. ამ კომისიებმა უნდა აღრიცხოს ყველა ჩვენი ამხანაგი და დაუკავშიროს ის საბჭოთა მუშაობას.

3. უნდა შეიქნეს წრეები სპეციალურად ყოფილ მენშევიკებისაგან, სადაც უნდა იწარმოოს სისტემატიურმა მუშაობამ, პოლიტიკური და ანბანური (სადაც საჭიროა) უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

4. კომისია ხელმძღვანელობს ამ წრეებს პარტკომის ან რაიკომის დირექტივების მიხედვით, ხოლო სამაზრო კომისიებს საერთო ხელმძღვანელობას კომისია უწევს.

ამ რიგათ შეიძლება შემდეგი მიზნების მიღწევა.

1. ჩაბმა აქტიურად მასსის საბჭოთა მუშაობაში (რაც უმთავრესია)

2. დაახლოვება მისი კომპარტიასთან და შემდეგ თანდათანი გადაჯგუფება მის რიგებში.

3. გადარჩენა ამ მასსის დაქსაქსვისა და ინდიფერენტიზმისაგან.

4. გაწრთვნა (თუ საჭიროა) დისციპლინაში და ლიკვიდაცია პოლიტ კური უცოდინარობისა.

ჩავაბამთ რა ამ რიგათ მასსას მუშაობის პროცესში, თავის თავად ცხადია, რომ ის დაირაზმება კომპარტიის გვერდში და ამ წრეების საშვალებით თვით კომპარტიაშიც.

კომპარტია კი ამით მხოლოდ გამაგრდება და გაჯანსაღდება, რადგან მის რიგებში შევა ეთრგვარ, შკოლა გავლილი წევრნი.

დღის წესრიგში სდგას ლოზუნგი „მჭიდროთ კომპარტიასთან“. ვინაიდან მასსის კომპარტიაში დარაზმვა არ შეიძლება და არც მისი ინდიფერენტიზმის კლანჭებში გადასროლა არის მიზანშეწონილი.

ვლ. ბერაძე

# კომპარტიის კარებთან.

**(ამხ. რ. ქორქიას სადისკუსიო წერილის გამო).**

კომპარტია მით განსხვავდებოდა და განსხვავდება სოციალ-დემოკრატიულ მუშ. პარტიისაგან (მენშევიკებიდან), რომ მას მაგრათ აქვს ჩაკეტილი პარტიის კარები. ჩვენ და ბოლშევიკების შორის თავიდანვე ეს იყო განხეთქილების საგანი. კომპარტიაში შესვლა არ არის ისე ადვილი, როგორც სოც. დემ. მუშ. პარტიაში შესვლა იყო. კომპარტიაში შესვლა მხოლოთ მათ შეუძლიანთ, ვინც არა ერთხელ ჩაბარა გამოცდები, ვინც სრულებით გასპეტაკებულია და გაწმენდილია ბურჟუაზიული პსიქოლოგიისაგან, ვინც, როგორც მდგომარეობით, ისე შეგნებით პროლეტარია, ვინც მშრომელია და თავისი ოფლით და ნაშრომით ცხოვრობს. ვინაიდან კომპარტიაში შესვლის დროს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სოციალურ მდგომარეობას, ამიტომ კომპარტიაში ადვილათ შედიან მუშები და გლეხკაცობა.

ს. დ. მუშ. პარტია (მენშევიკური) კი სულ სხვა ბუნების იყო და არის. იქ თავს იყრიდა მდიდარი და ღარიბი, მღვდელი და მრევლი, ვაჭარი და ნოქარი, ხელოსანი და ამქარი, დამქირავებლები და დაქირავებულნი, ამიტომაც არის, რომ ამ პარტიამ ჩვენ დაღუპვის კარამდე მიგვიყვანა საქართველოს სინამდვილეში. დემოკ. რესპუბლიკის ნაცვლათ ჩვენ ხელში შეგვრჩა გაშიშვლებული ბურჟუაზიულ კაპიტალისტური ნაციონალისტური საქართველო, იმპერიალისტური ინგლის—საფრანგეთის ბრძანებლობის ქვეშ. ეს საკითხი თამაშობდა დიდ როლს. პარტიაში შემოსულმა არასასურველმა ელემენტებმა იქონიეს გავლენა, როგორც პარტიის ბელადებზედ, ისე მთავრობაზე და პროლეტარული რუსეთის ნაცვლათ ის დაუკავშირეს პუანკარე-კერზონებს, სადაც დღეს მათი დახმარებით მშვენივრათ ცხოვრობენ ლონდონ-პარიზში მენშევიკების მეთაურები. მათ არც კი რცხვენიათ, რომ მუშათა კლასის ისტორიულ მტრებთან აქვთ კავშირი. აი სანამდის მიგვიყვანა „ღია კარებმა“, მაგრამ 30 აგვისტოს მოხდა ამ ტაქტიკის გადაფასება და ჩვენ ვაღიარეთ კომპარტიის გზა სწორ გზათ და დავადექით ამ გზას. 30 აგვისტოს ჩვენ მივედით III კომინტერნის კარებთან, დავიჭირეთ მისი სადარაჯოები და უკანასკნელ სისხლის წვეთამდი დავიცავთ მას, ამ დღიდან ჩვენ კომინტერნის ლაშქარი ვართ, განა ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენ აუცილებლათ პარტიული ბილეთები მივიღოთ? არა. ჩვენ მივედით იქ იმისთვის, რომ დავეხმაროთ კომპარტიას კომუნიზმისთვის ბრძოლაში. აი რა იყო და არის ჩვენი მიზანი. ჩვენ გვწყურია საერთაშორისო რევოლიუცია, ჩვენ გვინდა ამ რევოლიუციის ცეცხლის დანთებაში მივიღოთ აქტიური მონაწილეობა. აი რისთვის მივედით ჩვენ იქ 30 აგვისტოს. ჩვენ ვიცით ის, რომ კომპარტია ერთნაირათ აფასებს ბილეთიან და უბილეთო მებრძოლებს, ამის მაგალითი პუშკინის სახელობის ბაღია, სადაც კომუნისტი ამხ. ობოლაძე და არა კომუნისტი ამხ. ჩუბინიძე ერთათ განისვენებენ სამარეში. ჩვენ უბილეთო ლაშქარი ვართ. განა ასეთი არ იყო და არის წითელი ჯარი? განა მათ ყველას ბილეთები ქონდა, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებდა? არა. მერე ამან დაუშალა მათ თავი ესახელებიათ მტრებთან ომებში? იქ ცოტა იყო ბილეთიანი კომუნისტები, მაგრამ უბილეთო კომუნისტები კი ყველა იყო და იბრძოდა თავისი კლასიური მტრების წინააღმდეგ—კიდევაც გაიმარჯვა. დაამსხვრია მტრები, ეხლაც იარაღით ხელში სდგას კომინტერნის სადარაჯოზე. ჩვენც დღეს ასეთი ლაშქარი ვართ დარაზმული კომპარტიის კარებთან. იქ ვდგევართ, მას ვიცავთ.

თუ აქედან ვინმე გაგვექცევა, მოხდება მასში ფსიქოლოგიური გარდატეხა, ეს ის ელემენტები იქნება, რომლებსაც არაფერი არა აქვსთ საერთო მუშათა კლასთან. ეს მით უკეთესია ვინაიდან მხდალი, ლაჩრები ჩამოგვშორდებიან, ამ კარებთან უნდა გაიცხრილოს და გაიწმინდოს ჩვენი რიგები, ვისაც ეს აშინებს, ის პარტიაშიც არ ივარგებს. აქ არის გამოცდები და ვინც ამ გამოცდებში არ ჩაიჭრება, იმისთვის კი გაიღება კომპარტიის მაგრათ ჩაკეტილი კარები.

ჩვენ 12 ათასი საქართველოს მუშები, ვდგევართ კომპარტიის კარებთან და ვეუბნებით:

გამოგვცადეთ, ვინც ჩავაბაროთ გამოცდები მიიღეთ პარტიაში-ეს ასეც ხდება, ვინც ჯერ ვერ შევლენ, ისინი კი, კომპარტიის გარშემო უნდა შემოიკრიბონ, ჩვენ ამაზე არავის გავებუტებით, ჩვენ ვიცით ის, რომ 12-ათასი ყოფილი მენშევიკები, ერთბაშათ ვერ შევალთ პარტიაში, ეს შეუძლებელია, მაგრამ ჯერ ჩვენ იმით ვიამაყებთ, რომ კომუნისტებთან ერთათ ვიბრძვით კომუნიზმისათვის, მერე კი თანდათანობით ჩვენ ყველა კომუნისტები გავხდებით, მანამდის კი 30-აგვისტოდან ჩვენ ვართ მე III კომინტერნის ლაშქარი და ვიბრძვით **კომუნიზმის** დასამყარებლათ. ყველა პატიოსან მებრძოლს კომუნიზმისათვის ისტორია და კომინტერნი შესაფერისად დააფასებს, მიუხედავათ იმისა, ის პარტიაშია, თუ პარტიასთან.

მუშა კ. თოფაძე.

# უმუშევრობა.

უმუშევართა ლეგიონი მუდმივი თანმხლები იყო კაპიტალისტური მეურნეობის და ამავე დროს ერთ უმთავრეს პირობას შეადგენს კაპიტალისტებისათვის, რაც შეიძლება მეტი სამრეწველო მოგების მისაღებათ, რადგან ის სცემს ხელფასის სიდიდეს.

უმუშევრობა უდიდესი მტერია მუშათა კლასის. იგი არა მარტო აცლის საარსებო საშუალებას მათ და ხელს უწყობს სამუშაო დროის გადიდებასა და ხელფასის შემცირებას, არამედ იგი შლის მუშათა კლასის ძალასა და ენერგიას.

ქუჩაზე გადასროლილი მუშები, მოკლებულნი ნივთიერ საშუალებას, უკვე ვეღარ ატარებენ იმ ბრძოლის სტიმულს, რომელიც ამოძრავებს მათ ქარხნის კედლებში ყოფნის დროს.

შიმშილი ერთის მხრივ, ხოლო ორგანიზაციული გაერთიანების შენარჩუნების შეუძლებლობა, მეორეს მხრივ, გადამჭრელ გავლენას ახდენს საერთოდ მუშათა კლასის ბრძოლაზე კაპიტალისტების წინააღმდეგ.

„ძნელია იმის წარმოდგენა—ამბობს გერმანიის შრომის სამინისტრო თავის მემორანდუმში—თუ რა გამნადგურებელ გავლენას ახდენს უმუშევრობა არა მარტო თვით სამუშაოს გარეშე დარჩენილებზე, არამედ მთელ კაცობრიობაზე. უმუშევრობა, როგორც ჭირი ატარებს თავის საშოში გადადების და გავრცელების ჩანასახს... უმუშევარი იძულებული ხდება დაიყვანოს თავისი არსებობის საშუალებანი მინიმუმამდე, რაიც მასსიური უმუშევრობის დროს ძალზე ავიწროებს ბაზრის სივრცეს. ეს კი თავისი მხრივ იწვევს უმუშევართა ახალ ტალღას. ამნაირად თვითეული უმუშევარი ითრევს მეორეს და ხდის ამ უკანასკნელსაც თვისი ბედის მოზიარედ. როგორც მთის ფერდოდან დაქანებული თოვლი, ისე მიიმართება უმუშევრობა, რომელიც მატულობს გეომეტრიული პროგრესიით და იმუქრება კაცობრიობის კულტურის განადგურებითო".

მართალია, უმუშევრობა ხშირი მოვლენაა კაპიტალისტურ მეურნეობაში და ბევრჯერ უგემია მუშათა კლასს მისი სუსხი, მაგრამ საერთაშორისო ომის შემდეგ წარმოშობილი უმუშევრობა დიდათ გაასწრებს წარსული ხანებისას.

1904 წლის კრიზისის დროს საფრანგეთში იყო 10,7% უმუშევარი, ინგლისში 6%, გერმანიაში 11,9%. შემდეგი სამრეწველო კრიზისის დროს 1907-8 წლებში უმუშევრობა უფრო იზრდება. აი მაგ., საფრანგეთში 9,2%, ინგლისში 7,8%, გერმანიაში 12,9%.

მაგრამ ერთად ერთი პერიოდი იყო კაპიტალიზმის ისტორიაში საერთაშორისო ომის დროს, როდესაც არ იყო სრულიად უმუშევრობა, რადგან ჯანსაღი ელემენტი მოსახლეობისა ბურჟუაზიის მიერ ბრძოლის ველზე იყო გაყვანილი ურთიერთის გასაჟლეტათ, ამიტომ სამრეწველო შრომას ეწეოდენ დანარჩენი კატეგორიები მოსახლეობისა, როგორიც არის მოხუცები, ბავშვები და ქალები.

ომის დასრულების შემდეგ, როდესაც მრავალი მილიონი მუშა ხელი დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას, თავი იჩინა უმუშევრობამაც, თუმცა 1920 წლის გაზაფხულამდე მიმდინარეობდა, ისე როგორც ომის წინა ხანებში.

ხოლო შემდეგ სახალხო მეურნეობის კრიზისთან ერთად იწყო უმუშევრობის ზრდაც, რომელმაც დღეს მიაღწია ისეთ სიმაღლემდე, სადაც არასოდეს არ ასულა კაპიტალიზმის არსებობის განმავლობაში.

ძირითადი ფაქტორი უმუშევრობის კოლოსალური ზრდისა უმთავრესაც მდგომარეობს იმაში, რომ ომის განმავლობაში მატერიალური-სამრეწველო აპარატი მთელ რიგ ქვეყნებში საგრძნობლად გაფართოვდა, მაგ. შეერთებულ შტატებში, ინგლისში, იაპონიაში, ნეიტრალურ და ოკეანეს გაღმა მდებარე კოლონიალურ ქვეყნებში.

საქონლის დამზადებითი უნარი იმაზე მეტია, ვინემ მოითხოვს გაღატაკებული შუა და აღმოსავლეთი ევროპა. ამიტომ უმუშევრობა საგრძნობი შეიქნა იმ ქვეყნებში, სადაც სამრეწველო აპარატი ომის წინა ხანებში და ომის დროს იზრდებოდა, ხოლო გაღატაკებულ ქვეყნებში შედარებით უფრო სუსტი იყო ტალღა უმუშევრობისა მაგ. გერმანიაში ომის შემდეგ ძალზე გაიზარდა ექსპორტი (თუმცა ის იძულებითი მოვლენაა) და უმუშევრობა შედარებით უმნიშვნელო იყო. ამნაირად გერმანიაში განსაკუთრებული პოლიტიკური მიზეზი აჩერებდა უმუშევრობის ზრდას.

თუ წარსულ საუკუნეში კრიზისები ერთგვარი გარკვეული პერიოდების შემდეგ დგებოდა და საშუალოდ 10 წელი იყო თვითეული კრიზის შუა,—ომის შემდეგ ეს ინტერვალი მეტად მცირდება და თუ 1918 წლის დასასრულიდან 1919 წ. პირველ ნახევრამდე ჩვენ მოწამე ვიყავით უმუშევართა ძლიერი ზრდის, როგორც მებრძოლ აგრეთვე ნეიტრალურ ქვეყნებში, 1919 წ. ზაფხულიდან კვლავ იწყება ეკონომიური კონიუნქტურის გაჯანსაღება, რაიც აღწევს 1920 წლის შემოდგომამდე. აქედან მოკიდებული კაპიტალისტური მეურნეობა სწრაფად მიექანება ეკონომიური დეპრესიის ჩიხში, სადაც უმაღლეს წერტილს აღწევს 1921 წელს და 1922 წელში-რასაც თანვე სდევს უმუშევართა რიცხვის განსაცვიფრებელი ზრდაც.

ომის შემდეგ კაპიტალისტური მეურნეობის ნიადაგი მეტად საგრძნობ რყევას განიცდის და ეს მაჩვენებელი უნდა იყოს მისი აფეთქების მოახლოვებისა.

თუ ჩვენ მოკლეთ გადავავლებთ თვალს კაპიტალისტურ ქვეყნებს უმუშევრობის მხრივ, დავინახავთ, რომ თვითეულ სახელმწიფოში გაბატონებული კლასისათვისაც კი უმუშევრობა ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს.

ინგლისი, რომელიც თავის ექსპორტით წინ უსწრებდა ევროპის სახელმწიფოებს, 1922 წელს მისმა ექსპორტმა 1913 წელთან შედარებით მოიკლო 35%, რამაც გამოიწვია მუშა ხელის დათხოვნა ქარხნებიდან და უკანასკნელ ხანებამდე ინგლისში 15½% იყო უმუშევარი, ანუ თვითეულ 8 მუშაზე ერთი უმუშევარი მოდიოდა.

21 თვის განმავლობაში ინგლისში უმუშევართა რაოდენობა არ დაწეულა 10% ქვევით. ცხადია, თუ რა დიდი ყურადღების საგანს უნდა წარმოადგენდეს ამ ქვეყნისათვის ამდენი ხალხის ფიზიკური გადარჩენა.

ინგლისის შემდეგ შვეიცარიაში ფართოდ გაიდგა უმუშევრობამ ფესვები. კრიზისი დაიწყო 1920 წელს და უმაღლეს წერტილს მიაღწია 1922 წელს. თუ 1920 წელს 65,259 იყო 1922 წელს 146,302 კაცია უმუშევარი. ყველაზე უფრო მეტად განიცდიან უმუშევრობას საათის, ლითონისა და საალმშენებლო მრეწველობის მუშები.

შვეციაში უმუშევრობა გავრცელებულია მრეწველობის მთავარ დარგში, როგორიც არის ქაღალდის, ლითონის და სხვათა მრეწველობა

ნორვეგიაში 13 სამთამადნო ქარხნებში 1922 წ. მუშაობდა 1,400 კაცი 6,100 კაცის მაგივრად, რომლებიც მუშაობდენ ომის წინა ხანებში.

უმუშევრობამ აქაც მაღალ პროცენტს მიაღწია და 1922 წ. მაისში 17% ავიდა.

დანიაც ვერ აცდა კრიზისს 1922 წ. ავიდა უმუშევართა რაოდენობა 33%-ამდე.

ჰოლანდიაში უმუშევრობა იწყება 1920 წლიდან და 1922 წელს აღწევს 22%. აქაც უმუშევრობა შეეხო იმ ძირითადი მრეწველობის დარგებს, რომელიც მეურნეობის საექსპორტო ნაწილს შეადგენს.

არაჩვეულებრივი რყევა განიცადა უმუშევრობამ შეერთებულ შტატებში, სადაც სტატისტიკოს ბებსონის გამოკვლევით უმუშევართა რიცხვმა მიაღწია 1921 წ. 10 მილიონს. ამერიკაში, მიუხედავათ ამდენი უმუშევრობისა, მაინც ქონდა ადგილი ზოგ დარგებში მუშა ხელის ნაკლებობას, განსაკუთრებით არა კვალიფიციური მუშებისას. ეს კი აიხსნება მით, რომ იკლო ემიგრიცამ, რომელიც ამერიკას აძლევდა დიდძალ შავ მუშებს. ომის შემდეგ ამერიკაში უფრო მეტად კვალიფიციური მუშები მიემართებოდენ, ხოლო ის ერები, რომლებიც ცნობილი იყვენ მაგ. პოლონელები და იტალიელები ემიგრაციის დიდი %-ით, ომის შემდეგ, პირიქით, იწყეს ამერიკიდან უკან დაბრუნება. მაგ. უკანასკნელ წელში 41.154 იტალიელი შესულა ამერიკაში, ხოლო უკან დაბრუნებულა 54.010. პოლონელები კი 6.157 ჩასულა, უკან დაბრუნებულა 31.004. ყოველივე ამან დაბადა არაკვალიფიციური მუშათა სიმცირე.

საფრანგეთი, რომელიც ცნობილია ანტანტის სახელმწიფოებში ყველაზე უფრო ნაკლები უმუშევრობით, აქაც უმუშევრობა თანდათანობით მატულობს, ის შედარებით მცირეა, მაგრამ 1921 წ. 98 ათას უმუშევარი იყო.

გერმანიაში თუმცა ომის შემდეგ პირველ ხანებში, როდესაც მაღალი ვალიუტის მქონე ქვეყნებში კრიზისი ჩნდება, რაიც ხელს უწყობს გერმანიის მრეწველობის გამოცოცხლებას, რადგან გერმანიას გააქვს თავისი ფაბრიკანტები, მალე მას განსაკუთრებული პოლიტიკური და ფინანსიური პირობების გამო უჩნდება კრიზისი და უმუშევრობა ფართოდ შლის ფრთებს.

გერმანიაში უმუშევრობა გრანდიოზულ სახეს ღებულობს. რაც უმთავრესია, გერმანეთის მთავრობის უილაჯობა ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოს დაცარიელებული ბეღელი ვერ უწევს იმდენ დახმარებასაც უმუშევრებს, რამდენსაც ღებულობენ სხვა ქვეყნებში—ამ მხრივ გერმანიის მუშათა კლასის მდგომარეობა მეტად მძიმეა.

საერთაშორისო შრომის ბიუროს ხელმძღვანელი მიკერი ამბობს: „მართალია, ძნელია ბრძოლა ცარიელი კუჭით, მაგრამ ცარიელი კუჭი აძლიერებს რევოლიუციონურ განწყობილებას—რომელიც ემუქრება არსებული სახელმწიფოებრივი მმართველობის შეცვლასო“. ბურჟუაზია გრძნობს ამ საფრთხეს და ნახევრად მაინც აკმაყოფილებს უმუშევართა საარსებო მოთხოვნილებას, მაგრამ გავიდა ის დრო, როდესაც მუშათა კლასი გულზე ხელებ დაკრეფილი უცდიდა ქარხნების გაღებას და მუშაობის განახლებას. მრავალ ქვეყნებში წარმოიშვა უმუშევართა კომიტეტები“, რომლებიც გარკვეულად აყენებენ კითხვას, რომ გარეშე კაპიტალიზმის განადგურებისა უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა შეუძლებელიაო.

მართალია, სოციალ-რეფორმისტები ამ უაღრესად დროულ გამოძახილს არ ეხმაურებიან და, პირიქით, ხელს უშლიან „უმუშევართა კომიტეტების“ მუშაობას, მაგრამ სამუშაო დაზგებს მოცილებულ მუშებს არ დაკარგვიათ სულ ორგანიზაციული კოლექტიური მოქმედების ინსტიქტი და მან კარგად იცის, რომ გაერთიანებული უმუშევრები ის გრანდიოზული ძალაა, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს კაპიტალისტური მეურნეობის დღევანდელ წესებს,—რადგან იგი აშკარად მიმართულია ხალხის ინტერესების წინააღმდეგ.

მუშათა კლასის გულში ათეული წლების განმავლობაში დაგუბებულმა რისხვამ ბურჟუაზიის წინააღმდეგ კარგა ხანია, რაც მიაღწია მოთმინების საზღვარს.

შორს არაა ის დრო, როდესაც ეს რისხვა ნიაღვრად გადმოსკდება და თავისი ძლევამოსილი მსვლელობაში წალეკავს კაპიტალისტურ სამყაროს.

ახალი.

---

# ესაა ოკუპაციის უარყოფა?

მენშევიკურ ცეკას არა ერთხელ განუცხადებია, რომ ის წინააღმდეგია ოკუპაციის და ინტერვენციის. მაგრამ ამას ისამბობდა მუშების მოსატყუებლად. ნამდვილად, მთელი მუშაობა ცეკასი და საპარიტეტო კომიტეტის მიმართლი იყო იქითკენ, რომ მომხდარიყო ეს ოკუპაცია, რომ ჩამოგდებული მთავრობა აღედგინა უცხო ძალას.

ჩვენ ეს ვიცოდით სხვათა შორის იმ აუარებელი განცხადებებიდან, რომელსაც ათავსებდენ პარტიიდან გასული ამხანაგები ყოველდღიურ პრესაში, მათ შორის საყურადღებო იყო განცხადება ცეკას წევრის ბ. თევზაიას, რომელმაც მენშევიკურ პარტიას და ცეკას წევრობას დაანება თავი სწორედ იმიტომ, რომ ცეკას მისწრაფება იყო ინტერვენცია.

მაგრამ თუ ამდენხანს ვინმეს მაინც სჯეროდა, რომ მენშევიკური ცეკა წინააღმდეგია ინტერვენციის, ეხლა, როდესაც თითქმის ცეკას მთელი არქივი საბჭოთა მთავრობის ხელშია, უკვე აშკარა გახდა ყველასთვის, რომ ცეკა მხოლოდ ამ იმედით სულდგმულობდა.

ნ. ხომერიკის დოკუმენტებში ჩვენ ვნახულობთ საინტერესო დებულებებს ამის შესახებ, რომელსაც ის უგზავნის საზღვარგარეთელ ბიუროს.

ცეკას მისაღებად და საჭიროდ მიაჩნია, რომ ოსმალეთი შემოვიდეს საქართველოში ინგლისის ხელმძღვანელობით.

როცა ევროპის საკითხები მოწესრიგდება, შემდეგ მენშევიკური ცეკის აზრით, ევროპა ჩაერევა საბჭოთა რუსეთის საქმეებში. ინგლისი, როგორც დაინტერესებული ბაქოს ნავთით, მოაშურებს ამიერ-კავკასიას. მაგრამ ის შემოგზავნის აქ ოსმალეთს, რომელიც იქნება ინგლისის ყურმოჭრილი მონა.

მენშევიკური ცეკას საკითხის ასე გადაწყვეტა მიაჩნია სასარგებლოდ.

ოსმალეთმა უნდა განდევნოს აქედან ბოლშევიკები და მოიწვიოს საქართველოს ყოფილი მთავრობა, რომელიც იქნება ყურმოჭრილი მონა ოსმალეთის, ხოლო ეს უკანასკნელი იქნება მონა მორჩილი-ინგლისის.

აი ის პოლიტიკური პერსპექტივა, რომელსაც შეხარის მენშევიკური ცეკა.

მენშევიზმი, რომელსაც იმპერიალიზმის იქით გზა ვერ მოუნახავს, რომელმაც დიდი ხანია დაკარგა სოციალიზმის გზა, დღეს მუხლ-მოდრეკით ლოცულობს ოსმალების ფაშების და აღალარების სურათების წინ, ეტრფის მათ შემოსვლას ჩვენში და ამ იმედით ცოცხლობს.

მენშნვიკური ცეკა ამ „დიპლომატიას“ არ აქვეყნებდა. მუშებმა და გლეხებმა, რომლებიც მას მიყვებოდენ წინეთ, არაფერი იცოდენ ამ შავი დიპლომატიის შესახებ.

ეს იყო საიდუმლოებით მოცული მახინაციები, პოლიტიკური შარლატანობა, რომელსაც აწარმოებდენ ცეკას ხელმძღვანელები.

და დეე ამ პოლიტიკურ შარლატანობას ჩაუფიქრდეს ყველა კარგათ.

დეე აქედან გამოიტანონ დასკვნა იმათ, ვინც ჯერ კიდევ ვერ ჩამოშორებია მენშევიკურ ცეკას, თუ რა სოციალისტები არიან ცეკას ირგვლივ შეკრებილი პირები და რა საშინელ ღალატს აწარმოებენ ისინი ჩვენი მუშათა კლასის და ქვეყნის წინაშე, როცა აქ ეძახიან ოსმალეთის და ინგლისის იმპერიალისტებს.

ა. რ.

---

# ტყუილს ვერ ვიტყვი.

თითქმის დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ვმუშაობდი არალეგალურად, მაგრამ საქ. საგანგებო კომისიის „მაგარი კლანჭები“ არ მომხვედრია და მთელი ამ ხნის განმავლობაში გადარჩენილი ვიყავ უკანასკნელად დაპატიმრებამდის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ოზურგეთის ციხეში 3 თვის პატიმრობას 1921 წ., საიდანაც შემთხვევით განთავისუფლებულ ვიქენ.

ამიტომ პირადათ მე გამოუცდელი ვიყავ იმ რეპრესიების, რომელსაც საგანგებო კომისია აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ წარმოდგენა ამ რეპრესიებზე საშინელი მქონდა და უნდა გულახდილათ გამოვტყდე—ძლიერაც მეშინოდა. არა ერთხელ მითქვამს ხუმრობით ამხანაგებთან: „ვიცი ერთხელაც ჩავვარდები მის კლანჭებში, და ამიტომ, რომ იქ არ გამარონიონ—ციხეში ჩემი ფეხით მივალ მეთქი“. ასეთი წარმოდგენა იყო ჩემში შექმნილი ამხანაგების გადმოცემებიდან, რომელნიც გამოდიოდნენ განთავისუფლებულნი და რომელნიც (ზოგი მათგანი) წერილებსაც ათავსებდენ არალეგალურ ლიტერატურაში მათი წამების შესახებ.

ახლა, როდესაც მე პირადათ გამოვცადე ეს „კლანჭები“, არ შემიძლია გადაჭრით ვთქვა მართალნი იყვნენ ეს ამხანაგები თუ არა: ეს მათ და მათმა სინდისმა იცოდეს, მაგრამ არ შემიძლია ჩემი მწუხარება არ გამოვთქვა იმის გამო, რომ ვეყრდნობოდი რა ამ გადმოცემებს, პირადათ მეც ხელს ვუწყობდი ასეთი ხმების გავრცელებას...

ამაში მე ღრმად დამარწმუნა **ჩემს გარშემო შექმნილმა ლეგენდამ**. ჩემი პატიმრობის დროს მთელ ქალაქში გავრცელებულიყო ხმები ჩემი საშინელი წამების შესახებ და თითქოს ამ წამების გამო სიმშილობაც გამომეცხადებინოს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კატეგორიულათ უარვყავ, როგორც თვით ნ. ხომერიკთან საგანგებო კომისიაში, რომელიც შეცდომაში შეეყვანათ უპასუხისმგებლო პირებს, ისე გარეთ, ჩემი განთავისუფლების შემდეგ. მაინც ვრცელდება ხმები, თითქოს წამება მართალი ყოფილიყოს და უარს ვამბობ იმაზე მხოლოდ საგანგებო კომისიის შიშით.

ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია პრესის საშუალებით ერთხელ კიდევ კატეგორიულათ უარვყო ეს ფაქტი და აღვნიშნო, თუ როგორ გაუგებრობაზე იყო აშენებული ეს ხმები, რომ შემდეგში, თუ განგებ დაინტერესებული არ არის ვინმე ასეთი ცრუ ხმების გავრცელებაში და საზოგადოებრივ ატმოსფერის მოწამლვაში, არ გაავრცელონ ასეთი უსაფუძვლო ხმები.

მე და ამხ. ილ. გიორგაძე, დაგვაპატიმრეს სექტემბრის შუა რიცხვებში ქუჩაში ღამით, ყალბი პასპორტებით. რასაკვირველია, საგანგებო კომისიამ იცოდა თუ ვინ დააპატიმრა მან, მაგრამ ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ერთხანს მაინც არ გაგვემხილა ჩვენი ვინაობა.

ამით გვინდოდა გამოგვეცადა საგანგებო კომისია—მიმართავდა თუ არა ის რეპრესიულ ზომებს ჩვენს „გამოსატეხათ“, მაგრამ მეორე დღეს წინასწარ დაკითხვის დროს, როდესაც მე ანკეტას ვავსებდი ყალბ გვარზე, სწორეთ ამ დროს შემოდის ერთი ჩემი კარგი ნაცნობი კომუნისტი და „გამარჯვება სამსონ შენით“. „როგორ, თქვენ სამსონი ხართ და არა ბაქტორიო?!—შემეკითხა გამომძიებელი, ასე მოხდა ჩემი გამომჟღავნება და არავითარ წამებას და შეურაცყოფას ადგილი არა ქონია, თუ არ ჩავთვლით შეურაცყოფად ერთ გარემოებას და ეს იყო შემდეგი: ჩვენს მიმართვაზე კოლეგიის წევრებთან, რომლებმაც ჩვენი საკნის წინ ჩამოიარეს, რომელთაც ჩვენ საყვედურით მივმართეთ: „ბანდიტები ხომ არა ვართ ასეთ შეზღუდულ საკანში გვამყოფებთ, გადაგვიყვანეთ უკეთეს საკანში“-ო, ერთმა მათგანმა, პასუხისმგებელმა პირმა, გვიპასუხა: „Вы хуже бандитов, достаточно уж показали себя!“ საშინელი შეურაცყოფა და გულის ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ მას მაშინ ალბათ ქონდა ამის უფლება, რადგან ერთ-ერთი უპასუხისმგებლო და უსინდისო პირს მართლაც მიეტანა ჩვენზე ისეთი „ცნობები“, რომელიც საბუთს აძლევდა საგანგებო კომისიას ეს ეთქვა. ეს

იყო და ეს საგანგებო კომისიის მიერ უშუალოდ მოყენებული შეურაცყოფა. ამის მეტი არა თუ შეურაცყოფა მოუყენებიათ, პირიქით, ძლიერ კარგადაც გვეპყრობოდნენ, რაც ჩვენში გაკვირვებას იწვევდა. მაგრამ აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სულიერი ტანჯვა, რომელიც ჩვენ იქ განვიცადეთ იმავე უსინდისო და უპასუხისმგებლო პირის წყალობით და რომელიც პირზე დაგვადგა საგანგებო კომისიაში. თითქოს ჩვენ ჩოლოყაშვილთან გვქონოდეს კავშირი, მისთვის ფული შეგვეგროვებინოს, მასვე ვგზავნიდით თითქოს ჩოლოყაშვილთან, ტერორისტული ჯგუფი შეგვედგინოს მისივე მონაწილეობით და სხვა; რასაკვირველია, ასეთმა ბრალდებებმა ჩვენში შიში გამოიწვია, რადგან ჩვენ ასე გვქონდა წარმოდგენილი, რომ საგანგებო კომისია ჩოლოყაშვილის მხოლოდ სახელის გაგონებაზე ხვრეტდა ხალხს და სრულებით არ შედიოდა ასეთი ცნობების განხილვაში; მაგრამ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ **ეს ასე არ ყოფილა**. მაგრამ, სანამ ამაში დავრწმუნდებოდით, ვიმეორებ, შიში დიდი იყო, და შეიძლება ამის მიზეზიც იყო სხვათა შორის ჩვენი ავათმყოფობაც, რომლის დროს ჩვენ საჭმელს ვერ ვჭამდით და უკან ვაგზავნიდით, რადგან სხვაზე გადაცემის საშუალება ჩვენ არ გვქონდა (ჩვენ ორი ვიყავით ცალკე ერთეულში). მე ვფიქრობ, სწორედ აქედან წარმოსდგა ლეგენდა ჩვენი „წამების და სიმშილობის“ შესახებ, როდესაც უკან დაბრუნებული სადილი მიუღიათ, ქალებს ტირილი დაუწყიათ „ალბათ უჭირთ რამეო“. ეს მოხვდა ვინმეს ყურში და ამან მისცა, ჩემის აზრით, საბაბი „ერთგულ პირებს“ მიეტანათ ცნობა ნ. ხომერიკისათვის ჩვენი „წამების შესახებ“, ერთხელ კიდევ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არც ჩემთვის და არც გიორგაძისთვის საგანგებო კომისიაში არავითარი წამება არ მოუყენებიათ, თუ არ განუცდია ამხ. გიორგაძეს წამება იმ 1 ნახ. დღეს, როდესაც ჩვენ დაცილებული ვიყავით, მაგრამ ამის შესახებ თითონაც იტყვის.

**ფრთხილად, შეუმოწმებელ ხმებს ნუ ავრცელებთ! ამით ატმოსფერა იწამლება და სხვასაც ზიანს აყენებთ.**

**ასეთი იყო „ჩვენი წამება“ და ტყუილს კი ვერ ვიტყვი.**

**ს. დობორჯგინიძე.**

# პარტია და კლასი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რევიზიონისტების მამამთავრები ბერშტეინი და კუნოვი ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარიატი როგორც ერთი მთლიანი კლასი არ არსებობსო.

ამ დებულების დასამტკიცებლად იმოწმებდნენ კ. მარქს. ბერშტეინი ერთ ადგილას ამბობს: აი, დახეთ, მარქსიც არ უარყოფს, რომ მუშათა კლასში არსებობს ინტერესთა და მდგომარეობათა დანაწილებაო.

რასაკვირველია, არც ერთ მარქსისტს არ მოსვლია ჭკუაში უარეყო დანაწილება შინაგან ინტერესთა, რომელსაც მუშათა კლასში აქვს ადგილი, მაგრამ ამით სრულიად არ ისპობა პროლეტარიატის რიგების კლასობრივი ინტერესთა ერთიანობა.

კ. კაუცკი „ერფურტის პროგრამაში“ ვრცლად ეხება მუშათა გაყოფვას ორ ჯგუფათ—კვალიფიციური და არაკვალიფიციურად. ამის მიხედვითო—ამბობს—კაუცკი, პროლეტარიატი იყოფა ორ ნაწილათ: ზედა და ქვედათო.

კვალიფიციურ მუშათა ჯგუფში ძლიერ ხშირად სჭარბობს ცალმხრივი მიდრეკილება ვიწრო, წმინდა პროფესიონალური ინტერესებისა, საერთო ინტერესები კი უყურადღებოთ რჩება მიტოვებული მათ მიერ. ხშირადო-განაგრძობს კაუცკი—იმდენად იმიჯნება ეს ზედა ფენა მუშებისა დანარჩენ ნაწილებისაგან, რომ ცდილობს თავისი სარგებლობა ააგოს დანარჩენთა ზარალზეო.

ამხ. ზინოვიევი თავის საყურადღებო წიგნში „ომი და სოციალიზმის კრიზისი (321 და 322 გვ.) ამბობს: „გამარჯვება ოპორტიუნიზმისა და სოციალ შოვინიზმისა გერმანიაში და არა მარტო გერმანიაში—ძალზე მჭიდროთაა დაკავშირებული ვიწრო კორპორატიულ ინტერესთა გამარჯვებებთან, შედარებით მცირე რიცხოვან მუშათა არისტოკრატიისა, მრავალ მილიონიან მუშათა მასების ინტერესების წინააღმდეგო... ძლევდა რა ამ პატარა „ბურჟუებს“ ნასუფრალს იმპერიალისტური მაგიდიდან, მსხვილმა ბურჟუაზიამ წვრილი ოქროს ძაფით მიაჯაჭვა ისინი იმპერიალიზმის ბორბლებს, გადააქცია ბურჟუაზიის აგენტებათ, რომელთა დანიშნულება იყო სისტემატიური დემორალიზაციის შეტანა მუშათა მოძრაობაში და ოპორტიუნიზმის შხამით აცრაო“.

სწორედ ეს გარემოება, რომ კლასს არ აქვს ნათლად წარმოდგენილი მისი საერთო ინტერესები კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის პირობებში იწვევს აუცილებლობას პარტიათა არსებობისას, რათა ამ კლასობრივი ბრძოლას უხელმძღვანელოს,რასაკვირველია. ეს ხელმძღვანელობა გადადის ყველაზე უფრო მოწინავე, შეჯგუფებული და კლასობრივად მომზადებულ ნაწილში მუშათა კლასისა, რომელიც შეადგენს ამასთანავე პარტიას.

პარტია ტვინია კლასის. მისი მოვალეობას შეადგენს დასახოს გზები და ბრძოლის მეთოდები, უკარნახებს ამათუ იმ პოზიციას, რაიც დამოკიდებულია მდგომარეობაზე და ამასთანავე უხსნის კლასს მისი ისტორიული დანიშნულებას და მისი ამოცანებს, ანუ, როგორც ამხ. ბუხარინი ამბობს: ერთის მხრივ ხელმძღვანელობს და მართავს ხოლო მეორესმხრივ ზრდის და ამტკიცებსო.

ჯერ კიდევ კ. მარქს „კომუნისტურ მანიფესტის“ დაწერის დროსაც ნათლად ქონდა წარმოდგენილი პროლეტარიატის პარტიის დანიშნულება, რომლის მიზანს უნდა შეადგენდეს მუშათა კლასის ბრძოლას მისცეს კლასობრივი ბრძოლის ხასიათი, აუხსნას მუშათა კლას მისი ისტორიული მისსია და წარმართოს ბრძოლა და მოქმედება ერთ გარკვეული გზითო.

მარქსი კითხულობს „კომუნისტურ მანიფესტში“! „როგორ მდგომარეობაში არიან კომუნისტები საერთოდ პროლეტარებთანო? კომუნისტები არ შეადგენენ ცალკე პარტიას, რომელიც დაპირდაპირებული იყოს სხვა მუშათა პარტიებთან, მათ არ აქვთ ისეთი ინტერესები, რომლებიც არ ეთანხმებოდენ მთელი პროლეტარიატის ინტერესებს. კომუნისტები მხოლოდ მით განირჩევიან დანარჩენი მუშათა პარტიებიდან, რომ სხვადა სხვა ეროვნებათა პროლეტარიატის მოძრაობაში ისინი გამოყოფვენ საერთოს დამოუკიდებლად პროლეტარიატის ეროვნული ინტერესებისა, ხოლო მეორეს მხრივ განვითარების სხვადა სხვა სტადიაზე, რომელზედაც გაივლის პროლეტარიატის ბრძოლა, ისინი ყოველთვის იცავენ მათ ინტერესებს მთლიანად“.

ამნაირად კომუნისტურ პარტიას არ აქვს განსხვავებული ინტერესები მუშათა კლასიდან, მხოლოთ მით განსხვავდება უკანასკნელიდან, რომ მუშათა კლასის ისტორიული განვითარების გზას მთლიანად ითვალისწინებს და ყოველ პუნქტში ამ გზაზე ცდილობს დაიცვას არა კერძო ჯგუფის, არამედ მთლიანად მუშათა კლასის ინტერესები.

იმავე „კომუნისტურ მანიფესტში“ მარქსი ამბობს შემდეგს: „იმდენად, რამდენად მისი (ანუ კომუნისტ. პარტიის) ამოცანა შეადგენს არა შეგუება სხვადა სხვა ჯგუფთან შიგნით მუშათა კლასში, არამედ ამაღლება ამ უკანასკნელი ავანგარდის დონემდე, ამიტომ მას ხშირად მოუხდება გამოსვლა და მოქმედება წინააღმდეგ განსაზღვრული ჯგუფების თვით მუშათა კლასში“

თუ ოდესღაც კუნოვი და ბერშტეინი ამტკიცებდნენ, რომ პარტია ზეკლასიურია, რომ პარტიაში თავს იყრიან სხვადა სხვა კლასის წარმომადგენლები, რისი დასამტკიცებლათ ასახელებდენ ერთის მხრივ იმას, რომ პარტია ეწევა რა ბრძოლას არსებული სოციალური წყობილების წინააღმდეგ, მას ეკედლება ყველა უკმაყოფილო ელემენტი და თვით პარტია ცდილობს გაძლიერდეს და ამიტომ იერთებს თავის ირგვლივ, რაც შეიძლება მეტ ძალებს, რომელთა კლასიურ ბუნებას არ უწევს ანგარიშსო“

ხოლო მეორეს მხრივ თვით მუშების ნაწილი შედიან წვრილ-ბურჟუაზიულ და კონსერვატიულ პარტიებშიო.

რასაკვირველია რევიზიონისტების შეხედულება არ იყო სწორი, რომ მუშათა კლასი არ არის სულ მთლიანად ერთი აზრის, ერთი შეგნების მატარებელი, ეს იქედანაც მტკიცდება რომ საჭიროა გარკვეული პარტიის არსებობა, რომელმაც უნდა გააძლიეროს შეგნება საერთო ინტერესებისა და გააერთიანოს დაქსაქსული ძალა მუშათა კლასის, რათა შეერთებული ძალით ძლეულ იქნას მისი პოლიტიკური და ეკონომიური დამბეჩავებელი ძალა.

კ. მარქსი და მისი მიმდევრები გარკვევით აღნიშნავდენ, რომ ყოველი პარტია გარკვეული კლასის ინტერესების მატარებელია და გარკვეული კლასის ხასიათის მქონეა.

თუმცა მუშათა კლასში ყოველთვის და ყველა ნაწილებში არ არსებობს აზრთა ერთიანობა, მაგრამ მუშათა კლასის პარტია მაინც უეჭველად მატარებელია კლასობრივი ხასიათის.

პარტია მუდამ ჟამს მიისწრაფვის დაუახლოვდეს მასას, დაუახლოვდეს კლასს. თავისი აგიტაცია პროპაგანდით იგი თანდათანობით იჭერს უფრო მეტ მასებს თავის გავლენის ქვეშ, მაგრამ პარტია მაინც არ ითქვიფება

კლასში, ვინაიდან ეს მოასწავებდა პირველის გაქრობას.

რომ ყოველი პარტია ემსახურება თავისი კლასის ინტერესებს, ამის დამამტკიცებელია ის გარემოება, რომ ყოველი პარტიის პროგრამა იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება გარეშემო პირობები. ყოველი პარტიის პროგრამას საფუძვლად უდევს ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ტიპიურად ითვლებიან თვითეული კლასისათვის. ასე, მაგ., ბურჟუაზიულ პარტიების პროგრამებში მიჩქმალულია კლასობრივი ბრძოლა, რომელიც მას დაღუპვით ემუქრება, ქება და დიდებას ასხამენ კერძო საკუთრების იდეას, ხოლო პროლეტარიატის ინტერესების დამცველ პარტიის პროგრამაში მთელი ყურადღება გადატანილია კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებაზე, კერძო საკუთრების გაუქმებაზე და სხვა.

დღეს, როდესაც სოციალისტური რევოლიუციის მოახლოვებას და კერძოთ რუსეთში რევოლიუციის გაღრმავებას მოყვა ძველი სოციალური სტრუქტურის დაშლა, რამაც მოგვცა ზოგი ისეთი მოვლენები, რომელიც ბევრს აკვირვებს და სწორ მიზეზს ვერ პოულობს ასახსნელად. ერთი ასეთ მოვლენას წარმოადგენს ის, რომ დღეს მუშათა პარტიაში მიდიან ელემენტები სხვა და სხვა კლასებიდან. რომლებიც რევოლიუციამდი, და რევოლიუციის პროცესში ბარიკადის მეორე მხარეზე იდგნენ. მაგრამ თავისთავად მაინც რევოლიუციონურად ჯანსაღი ელემენტები იყვნენ, მაგრამ იმავე „კომუნისტური მანიფესტში" მარქსი აქცევს ამ მოვლენას ყურადღებას და შემდეგს ამბობს: „იმ პერიოდებში, როდესაც ბრძოლა კლასების უახლოვდება თავის დასასრულს, გახრწნის პროცესი გაბატონებულ კლასების წრეში აღწევს თავის უმაღლეს წერტილს, რომ ზოგი ნაწილი გაბატონებული კლასისა სცილდება მას და ეკედლება რევოლიუციონურ კლასს, რომელიც ატარებს მომავალის დროშას. ისე, როგორც თავადაზნაურობა შეუერთდა ბურჟუაზიას ოდესღაც, ისე ეხლა პროლეტარიატის მხარეზე გადადის ბურჟუაზიის ნაწილი, სახელდობრ ბურჟუა იდეოლოგები, რომლებიც ამაღლდენ თეორეტიული შეგნებამდე საერთო მსვლელობის გზის".

რომ კლასი ჩვენ ისე გვქონდეს წარმოდგენილი, რომ იგი უძრავია, გაყინულია, მაშინ ჩვენთვის ძნელი იქნებოდა ერთის მხრივ ახსნა იმ მოვლენის, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე მომენტში, რომ კომპარტიის რიგეებში მიილტვის წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის, გლეხობის, რევოლიუციონურად ჯანსაღი ელემენტი.

მარქსი ამბობდა, რომ წვრილი ბურჟუაზია შეიძლება იყოს რევოლიუციონური იმდენად, რამდენადაც ის იცავს არა თანამედროვე, არამედ მომავალ თავის ინტერესებს, რამდენადაც იგი სცილდება თავისი თვალსაზრისს და იზიარებს პროლეტარიატის მსოფლმხედველობას.

საკითხი გაცილებით უფრო რთულდება მაშინ, როდესაც პროლეტარიატს პოლიტიკური ბრძოლის პროცესში უხდება კავშირის დაჭერა სხვა კლასებთან.

კავშირი შეიძლება იყოს დროული განსაზღვრული მომენტის შინაარსით ნაკარნახევი. ეს არის გამოსავალი ტაქტიკა მომენტში.

მაგრამ მეორეა პროლეტარიატის პარტიის გათქვეფა წვრილბურჟუაზიულ ელემენტებში. თუ პირველი დროული დაკავშირება პოულობს თავის გამართლებას მომენტის შინაარსში — მეორე ხანგრძლივი კავშირი — რომელიც უქადის პროლეტარიატის პარტიას არსებითი ცვლილების შეტანას ბრძოლის მეთოდებში — რასაკვირველია, ყოვლად გაუმართლებელია.

თუ პირველით შესაძლებელია ხშირად საგრძნობი გამარჯვებები იგემოს პროლეტარიატმა, სამაგიეროთ, მეორე შემთხვევაში იგი თავისდაუნებლიეთ, როდესაც გაითქვიფება ყველა უკმაყოფილო ელემენტებში, მოშლის თავის მებრძოლ ძალას და დაარღვევს მთლიანობას, რაც აუცილებელია ბრძოლისათვის.

თუ რამდენად მიუღებელია ასეთი გაერთიანება პროლეტარიატისთვის წვრილი ბურჟუაზიასთან, როდესაც მისი პარტია კარგავს წმინდა კლასიურ ხასიათს, ამის დამამტკიცებელია მარქსის „დახასიათება საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის 1848 წ. „მე 18 ბრუმერში მიერ სწერს, რომ ბურჟუაზიულ კოალიციის წინააღმდეგ წარმოიშვა კოალიცია წვრილი ბურჟუაზიისა და მუშების ეგრედ წოდებული სოციალ-დემოკრატიული პარტია, პროლეტარიატის მოთხოვნილებანი გაეხვია დემოკრატიულ სამოსელში, რომელმაც გააქარწყლა რევოლიუციონური სიმტკიცე — რას მოითხოვდა ეს სოც.-დემოკრატია? დემოკრატიულ, რესპუბლიკანურ დაწესებულების შექმნას, არა კაპიტალისა და დაქირავებული შრომის შესაცვლელად, არამედ წინააღმდეგობათა შესარბილებლად მათ შორის და ჰარმონიის დასამყარებლადო.

სამწუხაროდ, პროლეტარიატისათვის მე-2 ინტერნაციონალი და სოც.-დემ. პარტიების პოლიტიკა სწორედ აგრძელებდენ და დღესაც აგრძელებენ იმ გზით სვლას, რომელსაც ასე უწუნებდა 1848 წ. კ. მარქსი საფრანგეთის სოც.-დემოკრატიას.

ის ხანგრძლივი გათქვეფა, რომელსაც ადგილი აქვს სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებს, რომელთაც თანვე მოაქვთ რყევა, პოლიტიკური ბრძოლის არ სიმტკიცე, ბურჟუაზიული სულისკვეთება შეიქნა ის გადამჭრელი პირობა, რომელმაც ოდესღაც ძლიერი რევოლიუციონური პარტია გარდააქცია სახალხო დემოკრატიულ პარტიათ.

ამ ელემენტების შესვლამ პარტიაში შესცვალა მეთოდი ბრძოლისა, გაქრა რევოლიუციონური კლასიური ხასიათი ბრძოლისა და პარტიამ დაისახა მიზნად არა გამძაფრებული კლასიური ბრძოლის ცეცხლის დანთებით დაანგრიოს კაპიტალიზმის საფუძვლები — არამედ მხოლოდ რაოდენობრივი ცვლილების მოხდენით დაკმაყოფილდეს არსებული სოციალური რეჟიმთან ბრძოლაში.

ერთი სიტყვით თანამედროვე სოც.-დემოკრატია კმაყოფილდება იმ მჭლე რეფორმებით, რომლის გატარებას ცდილობდა 1847 წ. საფრან. სოც.-დემოკრატია და რომელიც ასე მკაცრად გააკრიტიკა კ. მარქსმა.

სოციალ-დემოკრატიაში წვრილი ბურჟუაზია გამოვიდა ფაქტიური ხელმძღვანელად, ამიტომ ეს პარტია დაეცა, მან დაკარგა პროლეტარული ხასიათი, ხოლო კომუნისტური პარტიაში წვრილბურჟუაზიული ელემენტები, გლეხობა და ინტელიგენცია დაქვემდებარებულია ხელმძღვანელ პროლეტარიატთან და ამდენად აქ წვრილი-ბურჟუაზია რევოლიუციონურ როლს ასრულებს.

აკ. კალაძე.

# გაიგონ, რა ხდება იქ!

ჩვენი მტრები ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხოლოდ იმას გაიძახიან, რომ საბჭოთა ქვეყნებში მუშები უკიდურეს პირობებშია, საშინელი უმუშევრობაა და სხვა.

მართალია, ჩვენი მუშები გაცილებით ნაკლებს იღებენ ომის წინა ხანასთან შედარებით, უმუშევრობაც არის, მაგრამ არც ისე ცუდათაა საქმე, როგორც ამას გვიხატავენ ჩვენი მტრები.

საერთოდ, დღევანდელი ხელფასი მუშისა უდრის ომის წინა დროის ხელფასის 50—60 პროცენტს.

აქამდე ჩვენ მივედით ჩვენი მრეწველობის თანდათანი გადიდებით, განმტკიცებით, ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით.

მსოფლიო ომის მიერ განადგურებული ჩვენი მრეწველობის ინტენსივობა დღეს უდრის ომის წინა დროის ინტენსივობის 35 პროც.-ს დაახლოვებით.

ასი საფეხური გვაქვს გასავლელი იმ კიბეზე, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ჩვენი მრეწველობის სრულ აღორძინებამდე.

35 საფეხური განვლეთ, დანარჩენებსაც გავივლით. ცხადია, ამ გარდამავალ ხანაში ჩვენში ექნება ადგილი უმუშევრობასაც, ხელფასის სიცოტავესაც, მაგრამ ყველა ამას ჩვენ მოვუღებთ ბოლოს.

ვინც ჩვენზე ცუდს ამბობს, იმან უნდა სთქას ისიც, რომ ჩვენ თანდათან მივდივართ პროგრესისკენ და არა რეგრესისკენ.

ეს კი მომასწავებელია იმისი, რომ ახლოა ჩვენი გამარჯვება.

მაგრამ გადავხედოთ იმ ქვეყნებს, სადაც გაცარცულ ქვეყნების ნადავლი დაიოგეს და ხელი მოითბეს იმპერიალისტურ ომის საშინელ კოცონზე.

ავიღოთ ინგლისი, ეს ომში გამარჯვებული ქვეყანა.

რა ხდება იქ?

დღეს ინგლისში მილიონ ნახევარი უმუშევარია. 60 ათასი მუშა მუშაობს მხოლოდ შემოკლებულ დროით.

ეს ოფიციალური სტატისტიკით.

ფაქტიურად უმუშევართა რიცხვი კიდევ მეტია.

მაგრამ დავუჯეროთ მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკას. თუ საშუალოდ ინგლისში ერთ მუშის ოჯახში ავიღებთ საშუალოდ 4 სულს, მაშინ დავინახავთ, რომ უმუშევართა და მათი ოჯახის წევრთა საერთო რაოდენობა უდრის 6 მილიონს, ე. ი. დაახლოვებით 15 პროცენტი ინგლისის მცხოვრებთა არის უმუშევარი.

ამ გარემოებას აქვს დიდი გავლენა ინგლისის მრეწველობის ნაწარმოებთა გასაღებაზე, ყიდვითი შესაძლებლობა მცხოვრებთა მეტათ შემცირდა. ადგილი აქვს მწვავე კრიზისს მრეწველობაში.

ყველაზე უფრო უმუშევრობა გავრცელებულია ინგლისში სახალხო მეურნეობის იმ ჯგუფში, რომელიც დამოკიდებულია ექსპორტზე (ნაწარმოების უცხო ბაზარზე გატანაზე). ეს სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

| სახალხო მეურნეობა | მუშაობენ | უმუშევრები | % |
|---|---|---|---|
| ექსპორტზე მომუშავე . . | 4.473,160 | 628 613 | 14,9 |
| შინა-ბაზრისთვის მომუშ. | 4.309.640 | 421.341 | 9,9 |
| საიმპორტო საქ. მომუშ. | 582 800 | 61.910 | 10,5 |

ეს ციფრები მჭერმეტყველურად ღაღადებენ თუ რა მდგომარეობაა შექმნილი იგლისის მრეწველობაში.

მაშინ, როცა საბჭოთა რესპუბლიკები ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიდიან პროგრესისკენ, ძლიერი ინგლისი, იმპერიალისტურ ომში გამარჯვებული ქვეყანა, მიდის რეგრესისკენ.

**პლებეი.**

# მილიციონური აღმშენებლობა.

შეიარაღებულ ძალების სამილიციო სისტემის პრინციპებზედ აშენების შესახებ საბჭოთა პრესაში გამართული იყო დიდი კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ, როგორც კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელნი, ისე სამხედრო ხელოვნების სპეცები. ამ სისტემის ცხოვრებაში გატარება საბჭოთა რესპუბლიკებს მუდამ ჰქონდათ მხედველობაში, მხოლოდ ირგვლივ მტრებით შემორტყმულნი და სამოქალაქო ომის მრავალ ფრონტებში ჩაბმულნი, იძულებულნი იყვენ დაჰყრდნობოდენ მუდმივ ჯარის სისტემაზედ მოწყობილ შეიარაღებულ ძალებს. ამ ჟამათ შეიქმნა ისეთი პირობები, როდესაც შესაძლო გახდა ჯარის მილიოციონურ სისტემით მოწყობა. წარსულში მუდმივ ჯარის სამილიციო ჯარით შეცვლის საკითხი ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ხშირად ყოფილა წამოყენებული. ამ საკითხის ალმძვრელათ გამოდიოდენ „მეორე ინტერნაციონალის“ ბელადები. საბჭოთა რესპუბლიკების მიერ, დასახულ მილიციონურ აღმშენებლობას და „მეორე ინტერნაციონალის“ სახალხო მილი(ციის შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. საფრანგეთის ცნობილი სოციალისტი ჟან ჟორესი თავის „ახალ არმიაში“ ოცნებობდა რესპუბლიკანურ საფრანგეთის სამხედრო ძალების ორგანიზაციისა და საგარეო პოლიტიკის სოციალიზმთან შეთანხმებას. ჟორესს სძულდა ომი, სძულდა მთელი თავისი არსებით და ამ გრძნობის მსხვერპლიც გახდა. ჟორესი მთელ თავის სიცოცხლის განმავლობაში ებრძოდა იმპერიალისტთა იარაღის ჟღარუნს, კაპიტალისტთა ავაზაკურ და მტაცებლურ მიზნით გამოწვეულ ომებს, და ომის ასაცილებლად ჯარის გარდაქმნას სთვლიდა ერთად-ერთ საშუალებათ. სამილიციო პრინციპებზედ გარდაქმნილ ჯარით მას ჰსურდა კაპიტალისტებისათვის ამოედვა ლაგამი და კაცობრიობა გადაერჩინა სამარცხვინო ომებისაგან. ჟორესის ზრახვები ბურჟუაზიას მშვენივრად ჰქონდა წარმოდგენილი და გათვალისწინებული და იმპერიალისტურ ომის დასაწყისში, როგორც მეტად მავნე პირს, თავისებურად გაუსწორდა მას. გერმანიის სოციალ-დემოკრატების ბელადს ფრანცს მერინგს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი ბურჟუაზიულ ელემენტთა სულისკვეთება და საკითხს სალის თვალით უყურებდა. ჟორესთან კამათის დროს იგი ეკითხებოდა მას: „როგორ შეიძლება ყვავის ამღერებაო“. ბურჟუაზიას უცხო ქვეყნის დასაპყრობათ სჭირია მუდმივი ჯარი და შინ დაბალ კლასთა დასამორჩილებლად. მაინც მიუხედავათ ჟორესის აზრისადმი ამგვარ შეხედულობისა, იმ დროს, ისინიც კი, ვინც ეჭვის თვალით უყურებდა ჟორესის ოცნებას, მის მიერ წამოყენებულ პროექტს ჯარის გარდაქმნის შესახებ და სახალხო მილიციის შემოღებას სთვლიდენ — ტაქტიკურ ღირებულებათ მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის საწინააღმდეგოთ.

საბჭოთა რესპუბლიკის თანამედროვე პირობანი იმ გვარადაა ჩამოყალიბებული, რომ იქ არაა საჭირო სამილიციო ანუ ლაშქროსან ჯარის სისტემის ლოზუნგად გამოცხადება, არამედ უკვე დასახულია მისი სინამდვილეში თანდათანობით განხორციელება და უკვე სათანადო ნაბიჯებიცაა გადადგმული ამისათვის: რუსეთში უკვე ტერიტორიალურ დივიზიების ორგანიზაციის შესახებ მოგვდის ცნობები. საერთოდ კი დასახულია მიზანი მომავალში მუდმივი ჯარი შეიცვალოს ისეთ შეიარაღებულ ძალათ, რომელიც მოგვანიჭებს უდიდეს წარმატებას სამხედრო სიძლიერეში. სისტემის სავსებით ცხოვრებაში გატარებას წინ უნდა უძღოდეს მასსების დისციპლიანობა, ურომლისოდ მილიციონურ ჯარზედ ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

მუდმივ ჯარისა და მილიციონურ ჯარის შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: მუდმივ ჯარში გაბატონებულია ხელოვნური პირობები დისციპლინის განმტკიცებისათვის, იქ მყოფი პიროვნება ითვისებს მას ყაზარმების კედლებში, მას წესრიგიანობისადმი სიყვარულს გარეგან საშუალებით უნერგავენ. რაც შეეხება მილიციონურ, ანუ ლაშქროსან ჯარს, აქ პიროვნებას თანდაყოლილი ექნება ეს თვისებანი, როგორც შედეგი მის საზოგადოებრივ აღზრდისა და, მაშასადამე, უფრო საფუძვლიანათ და ღრმად ექნება შეთვისებული და ძვალში და რბილში ექნება გამჯდარი. სისტემის ცხოვრებაში გატარება დიდის სიფრთხილით უნდა ხდებოდეს, არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, დაკვირვებით და მიღებულ ცდების შეფასების მიხედვით სათანადო ცვლილებათა შეტანით და ნიადაგის გამაგრებით.

ნაპოლეონ I ამბობდა, რომ ტაქტიკა ყოველ 10 წელიწადში ერთხელ უნდა იცვლებოდესო და ეს ხდებოდა ბრძოლის საშუალებათა განვითარების მიხედვით, თანამედროვე ხანაში შეიძლება ითქვას, რომ იმპერიალისტურ ომის შემდეგ, არამც თუ ტაქტიკა უნდა შეიცვალოს რაც უკვე მოხდა, არამედ თვით ჯარის ორგანიზაცია, მისი სისტემა უნდა შეიცვალოს. არმიის ახალ სახით გარდაქმნის საკითხი ყველა სახელმწიფოში დაისვა მსოფლიო მასშტაბით. ამ საკითხს ბურჟუაზია თავისებურად, სხვა გზით უვლის. ფართო მასებს იგი მაინც და მაინც ნდობის თვალით არ უყურებს და მთელი თავისი ყურადღება განსაკუთრებულად ტეხნიკის გაუმჯობესობას მიაპყრო, რისთვისაც ტეხნიკურ ჯარის შემადგენლობას დიდის სიფრთხილით და შერჩევით ავსებს.

ომთან მჭიდრო კავშირი აქვს მრეწველობას, რომლის განვითარება-გაუმჯობესობა უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ნელი და თანდათანობითი სახელმწიფოებრივი აღორძინება. საბჭოთა რესპუბლიკებს შეძლება აქვთ სხვა და სხვა ერის მუშათა და გლეხთა მჭიდრო კავშირის საფუძველზედ შეჰქმნას შეიარაღებული ძალები. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამ ჟამათ საბჭოთა რესპუბლიკების უმთავრესი ყურადღება, ძირითადი არმიის გარშემო, ტერიტორიალურ ნაწილების შექმნის პრაქტიკულ განხორციელებისაკენაა მიმართული. რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის გაჯანსაღება — თანამედროვე ამოცანაა და ევროპა ყოველ დღე ჰხედავს, თუ როგორ მაგრდება საბჭოთა რესპუბლიკა ამ მხრივ, რაც მას მოსვენებას არ აძლევს.

თანამედროვე გარემოებანი იმ გვარად გადაიხლართენ, რომ სტრატეგია, ეკონომიკა და პოლიტიკა ერთ და იგივე გზით მიდიან. სტრატეგია გვეუბნება, რომ თანამედროვე ტეხნიკა ბრძოლისათვის ფართო მასსებს მოითხოვს, ეკონომიკაც გვიკარნახებს მთელ ხალხის შეიარაღებას, ნაკლებ სახსრის და დროს დახარჯვით. საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკური მდგომარეობა კი იმ გვარია, რომ აქ სავსებით უნდა დავეყრდნოთ ახალ ცხოვრებისათვის ახლად გამოღვიძებულ ხალხის შეგნებაზედ, მის ორგანიზაციისა და დისციპლინობის უნარზედ. ჯარსა და ხალხს შორის უნდა მჭიდრო კავშირი არსებობდეს, რაც თავდაცვის უნარიანობის თავდებია. ეს კავშირი არსებობს წითელ არმიისა, მუშებსა და გლეხების შორის. ტერიტორიალურ დივიზიებში მუშები და გლეხები ერთმანეთს მოკლე ხანს შეხვდებიან. თანახმად პროექტისა სწავლება ტერიტორიალურ დივიზიებში გრძელდება 8 თვე 5 წლის განმავლობაში. პირველ წელს სამი თვეა, მეორე წელი ორი თვე და დანარჩენ წლეებში თითო თვე.

ტერიტორიალურ დივიზიებს იმ გვარივე სერიოზული მოვალეობანი ექნება დაკისრებული როგორც მუდმივ წითელ-არმიას. ორივე სისტემა იარსებებს იქამდის, სანამ ეს შეცვლა მოხდება უმტკივნეულოდ და თანდათანობით, რათა ერთ წამში საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ძლიერება იოტის ტოლათაც არ შემცირდეს.

**გ. ბარნაბაშვილი**

# ახალგაზ. სოც. ფედერალისტებზე.

ხელთა გვაქვს საქ. „სოც.“ ფედერალისტთა ახალგაზრდათა ორგ. ცენტრ. კომიტ. ნოემბრის თვის ჟურნალი „მებრძოლთა ხმა“ № 8.

ცოტა თუ ბევრათ „ძველის“ მქონე პარტიებიდან ფედერალისტთა პარტიას ფორმალურათ არ მოუხდენია თვითლიკვიდაცია.

ჯერ-კიდევ მენშევიკების დროს ამ პარტიის საქმიანობამ, განსაკუთრებით ეროვნულ კითხვაში, საერთოდ ფედერალისტთა პარტიის არსებობა ზედმეტი გახადა. საქ. საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე ფედერალისტთა პარტიას გამოეყო ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც ეხლა უკვე კომპარტიას შეუერთდა.

„ძველი“ ფედერალისტთა პარტიიდან დარჩა რამოდენიმე გაუსწორებელი შოვინისტი ნაციონალური შხამით მოწამლული ინტილეგენტი. ეს ხალხი დღესაც განარგძობს „არსებობას“. ფაქტიურად ფედერალისტთა პარტია დიდი ხანია მოკვდა, არ ვლაპარაკობთ მათზე, როგორც ცოცხლებზე. მათ უკანასკნელ ინფორმაციაში („მებრძოლთა ხმა“ № 8.)საქართველოს ფედერალისტ. ახალგაზრდობა განაგრძნობს ძველ ზღაპარს: „საქართველო დაპყრობილია „საქარ. კომუნისტური პარტიის სახელქვეშ თავს აფარებს საქარ. დაუძინებელი მტრები: რუსი ხულიგნები და სომეხი დაშნაკელები“.

„საქ. ყველა დაწესებულებებში, საიდანაც მასიურად იდევნება ქართველობა, ფეხს იკიდებს სომხობა. ამ შემთხვევაში ისინი თავიანთებსაც არ ინდობენ: „ნაციონალისტობა“ დასწამეს ფანატიკოს ფილ. მახარაძეს, რომელსაც დიდებულ ქართველ უანგარო მამულისშვილის ილიას წმინდა სისხლი ჯერაც არ შეშრობია ხელზე.“ ჯალათ კ. ცინცაძეს, ბ. კვირკველიას ს. ქავთარაძეს, ალ. სვანიძეს, ბ. მდივანს და სხვ.“

აწერენ რა საქართველოს „დამონავებას“ რუსების და სომხების „ავაზაკების“ მიერ, ფედერალისტური ახალგაზრდობა ისვრის „ახალ“ ლოზუნგს—„საქართველო საქართველოსთვის“

ჩვენ არ დავიწყებთ იმის კრიტიკას, რაც უკვე გააკრიტიკა საქართველოს მშრომელმა ხალხმა. საქ. მშრომელმა ხალხმა დიდი ხანია ნაციონალისტურ ბურჟუაზიულ ლოზუნგს—„საქართველო საქართველოსათვის“, დაუპირისდაპირა ლოზუნგი: „სქართველო საქართველოს მშრომელი ხალხისათვის“ და ეს ლოზუნგი დღეს უკვე მის მიერ რეალურადაა განალდებული.

საქართველოს ბატონ პატრონია ქართველი მშრომელი ხალხი და ამ ბატონობაზე მას ვერ აალებინებს ხელს ვერავინ.

ყველაზე უბადრუკობას იჩენს, ეს ახალგაზრდობა თავისი უარყოფითი დამოკიდებულებით აღზრდის ახალ სისტემისადმი. ახალი სისტემა აღზრდის მას კომუნისტების მიერ ახალგაზრდობის გახრწნის საშუალებათ მიუჩნევია და მოუწოდებს ქართველ დედას (?) არ ენდოს ახალ სკოლას.

ფედერალისტები თავს ტყვილა ინუგეშებენ ყველა დაინგრა და ჩვენ დავრჩითო. მათი პარტია დიდი ხანია მოკვდა. მათგან დარჩენილა ორიოდე გზა აბნეული ინტილიგენტი, საბჭოთა წყობილება მათაც მალე მოუღებს ბოლოს.

**არ. მურაჩაშვილი.**

# მუშა-მგოსანი.

ძველი წყობილების დროს, როდესაც მუშათა კლასის მთელი ყურადღება პოლიტიკური ბრძოლისა და საზოგადოებრივი კითხვების გარშემო ტრიალებდა, ჩვენს მუშებში პოეზიას ალმაცერად უყურებდენ,—ის თავადებისა და ბურჟუების შესაქცევარი და გასართობი ეგონათ. პროლეტარულ გაზეთში ლექსი საჭირო არ არისო, ასეთს აზრს გაიგონებდით მუშათა წრეში.

რა თქმა უნდა, ასეთი შეხედულება სრულებით შემცდარი არის და აიხსნება მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის სიმწვავით.

პოეზია მძლავრი იარაღი არის ყოველი კლასის ხელში და ეს კარგათ ესმოდა ბურჟუაზიას. მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ იდღესასწაულებს სრულ გამარჯვებას, როდესაც ის გამოჰგლეჯს ბურჟუაზიას ხელიდან ყოველგვარ იარაღს და ყოველ დარგში დაამარცხებს მას. მუშათა კლასის ხელში პოეზია უნდა გაიშალოს, აყვავდეს და გაბრწყინდეს ისეთის ფერადებით, რომ ბურჟუაზიული პოეზია სრულებით დაჩრდილოს.

ეს იქნება პროლეტარიატის უდიდესი გამარჯვება.

მაგრამ ასეთი გამარჯვება ერთბაშად, ერთის დაკვრით ხელთ არავის არ უვარდება,—ის შედეგია ხანგრძლივი შრომისა, მომზადებისა და ცდისა. ასეთი მომზადების ხანაში შეცდომა, წაფორხილება პატარპატარა დამარცხება აუცილებელია, მაგრამ უამისოდ განვითარება, გაზრდა შეუძლებელია.

ამის გამო ყოველი მგოსანი, რომელიც მუშათა წრიდან გამოვა, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. თავის თავად კიდეც რომ არ წარმოადგენდეს ის დიდ ღირებულებას, ის მაინც მოიტანს რაიმე მასალას იმ დიადი შემოქმედებისათვის, რომელსაც პროლეტარული პოეზია ეწოდება.

გარედან შემოტანილი არასოდეს არ არის იმდენად მტკიცე, როგორც შიგნიდან, შუაგულიდან აღმოცენებული. პროლეტარული პოეზიაც მხოლოდ მაშინ გაშლის ფრთებს, როდესაც თვითონ. მუშათა კლასის გულიდან იწყებს ის ჩქეფას, როდესაც პროლეტარიატის რიგებიდან გამოვლენ მუშა-პოეტები.

გიგო ხეჩუაშვილს ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: ის არის ნამდვილი მუშა პოეტი, პოეტობამდე მუშა იყო და პოეზიაშიც მუშად დარჩა; პოეტი და მუშა იმის არსებაში ხელიხელ ჩაკიდებული დადიან; პოეტი და მუშა ხეჩუაშვილი განუყრელი, განუყოფელი არიან; პოეტი მუშას ზრდის მასში, მუშა კიდევ—პოეტს.

ხეჩუაშვილი მეტად ნაყოფიერი მგოსანია და იმის შემოქმედებას უსათუოდ აზის დაღი ჭეშმარიტი პოეტისა.

„ძველს პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი“

ვინ არის ხეჩუაშვილის გულის მურაზი?

შოთა რუსთაველი. ხეჩუაშვილი სცდილობს ჩასწვდეს რუსთაველს, შეისწავლოს მისი ენა და ბევრი თავისი საუკეთესო ნაწარმოები თექვსმეტ მარცლოვანი შაირითა აქვს დაწერილი.

მარტო თავის რწმენით კი არა, თავისი პოროვნებითაც ის ინტერნაციონალისტია.

„მე თუმცა სომეხს მიხმობენ,
მასხია მათი ნაბაღი,
და გულშიც ტროფობის ნაღვერდალს
მათზეგან გააქვს ლაღლადი,
ქართველის ძმადა შობილსა
მაქვს სიყვარულის ლალადი“.

მისთვის არ არსებობს ერი, არის მხოლოდ მუშათა კლასი და მისი ოცნებაა ყველა ერის მუშათა კლასის გაერთიანება.

„გაუმარჯოს მთელი ქვეყნის
შეერთებულ პროლეტარებს“.

ხეჩუაშვილის მუზა თავისებურია: ის არც ბულბულს ეტრფის, არც ვარდს, არც სატრფოს სილამაზეს; ის არის მუზა ბრძოლისა და მუშური სულისკვეთებისა.

პროლეტარული აზროვნება პოეტს წიგნებიდან კი არა აქვს შეძენილი, არამედ თვითონ არის თავიდან ბოლომდე გამოკვეთილი მუშური მსოფლმხედველობის გრდემლზე.

„ქვეყნად გაჩენა ღელვაა,
ქარიშხალია, ზვირთია“,

სიცოცხლე ქარიშხლის გარეშე მას უქმ ტვირთად მიაჩნია.

ქარიშხალი ხელთ უპყრია მუშათა კლასს, რომელმაც უნდა დაანგრიოს ძველი ცხოვრება და მოსპოს მუქთახორობა, ერთისაგან მეორის ჩაგვრა.

ხეჩუაშვილი სრულის იმედით შეჰყურებს მომავალს; უიმედობა, ყოყმანი, სასოწარკვეთილება, უკან დახევა მან არ იცის და წითელის დროშით ხელში აღფრთოვანებული შეჰყურებს ბრძოლის ცეცხლს, რომელშიაც იბადება და მტკიცდება სრულიად ახალი წყობილება.

ბრძოლაში გამარჯვებისათვის ერთი საუკეთესო იარაღია სწავლა.

„სინათლის ბურჯი სწავლაა
მის ყავარჯენი წიგნია“.

პოეტის რწმენით სწავლა და წიგნი განსაკუთრებით საჭიროა მუშათა კლასისათვის.

ხეჩუაშვილი მარტო ბრძოლის მგოსანი არ არის,—ის არის მანქანების მგოსანიც.

მანქანების გრიალი პოეტისათვის ერთგვარი კონცერტია, რომელიც საუკეთესო მუსიკასავით ატკბობს იმის სმენას. მანქანების ხმაურში უსათუოდ არის თავისებური მუსიკა, რომლის გადათარგმნა პოეზიის ენაზედ მეტად ძნელია.

ასახვა ამ მუსიკისა ხეჩუაშვილს საკმაოდ ეადვილება.

ხეჩუაშვილი შემაერთებელი ხიდია ორი ერის მუშათა კლასს შორის და მისი ჯანსაღი, იმედიანი და მუდამ მომავლისაკენ მზირალი პოეზია სრული თავდებია იმისა, რომ მუშა ხალხს შესწევს ძალღონე მარტო ცხოვრების გარდასაქმნელად კი არა, სილამაზისა და მშვენიერების ახალი კოშკების ასაგებადაც.

ვაშა გიგო ხეჩუაშვილს!
გამარჯვება იმის მისწრაფებას.
„გაუმარჯოს მთელი ქვეყნის
შეერთებულ პროლეტარებს!“

„თ. ც.“ **ივ. გომართელი.**

# მარქსიზმის გაყალბება.

როგორც წინა წერილში ვსთქვით, არალეგალური მენშევიკური ცეკა, რომელსაც თურმე მოუწვევია 5 სექტემბერს ეგრედ წოდებული „პარტიული კონფერენცია“ და შეეცადა კიდევ ერთხელ დაედასტურებია თვის მიერ წარმოებული პოლიტიკა და ტაქტიკა ბოლშევიკურ-საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ,—სდგას არა რევოლიუციონური მარქსიზმის, არამედ სოციალ-პაციფიზმის ნიადაგზედ.

არალეგალური მენშევიკური ცეკა, რომელიც სიტყვით და თეორიაში ყოველთვის იდგა და დღესაც სდგას ორტოდოქსალური მარქსიზმის და რევოლიუციონური სოციალიზმის ნიადაგზედ, მხოლოდ საქმით და პრაქტიკაში კი აკეთებდა და აკეთებს ანტი-სოციალისტურ, შავ და ბნელ საქმეებს, აწარმოებს რა კლასიურ თანამშრომლობას ბურჟუაზიასთან პირდაპირი თუ არა პირდაპირი გზით,—როგორც ვიცით, ამ ჟამად კვლავ გაიძახის ჩვეულებრივად იმას, რომ ჰამბურგის კონგრესმა გარკვეული ენით სთქვა ჩვენ პოლიტიკური საბაბი არ უნდა მივსცეთ რეაქციას კომუნისტური რუსეთის წინააღმდეგო და რომ 2-ე ინტერნაციონალი წინააღმდეგია რეაქციონურ ძალებთან დაკავშირების საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერატიულ კავშირთან ბრძოლის დროსო.

განა ამაზე მეტი სასაცილო და საკვირველი ამბავი გაგონილა?

ნუ თუ ეს მართალია?

ნუ თუ ჰამბურგის კონგრესი და მასთანვე 2-ე ინტერნაციონალი, რომელიც მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი პოლიტიკური პლატფორმით და ორგანიზაციული ძალებით თანამედროვე ეკონომიური კრიზისის ისტორიულ პერიოდში ამართლებს კაპიტალიზმის აღდგენას და მის რესტავრაციას—მართლაც, ფაქტიურად შეიძლება იყვეს წინააღმდეგი რეაქციონურ ძალებთან დაკავშირების კომუნისტურ—საბჭოთა რუსეთის მიმართ?

რასაკვირველია არა.

მაგრამ წამოყენებულ საკითხის სწორად გადასაჭრელად ვიკითხოთ:

მაშ როგორია მენშევიზმის ანუ 2-ე ინტერნაციონალის როლი თანამედროვე კლასობრივ ბრძოლის პროცესში? წარმოადგენს თუ არა 2-ე ინტერნაციონალის რევოლიუციონური პროლეტარიატი საერთაშორისო მასშტაბით გამაერთიანებელ ბრძოლის ფრონტს? ან და შესაძლებელია ითქვას და აღიარებულ იქნას ის, რომ 2-ე ინტერნაციონალი არის იარაღი რევოლიუციისა და არა იარაღი კონტრ-რევოლიუციისა და იმპერიალიზმისა?

რასაკვირველია არა.

2-ე ინტერნაციონალი იბრძვის არა სოციალიზმის და რევოლიუციისათვის, არამედ წარმოადგენს უბრალო იარაღს და დამატებას ბურჟუაზიისას.

2-ე ინტერნაციონალს მთელი პრაქტიკა მსოფლიო ომის დაწყების პირველ ხანებში, თვით მსოფლიო ომის პროცესში და მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც,—აშკარა მღაღადებელია იმისა, რომ 2-ე ინტერნაციონალი, რომელიც გახდა მსხვერპლათ ოპორტუნიზმ-რეფორმიზმისა, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმისა, გარდაიქცა, ფაქტიურად, იარაღად და განმამტკიცებელ ძალად ბურჟუაზიისა.

განა, სამხედრო კრედიტისათვის და ამდენადვე იმპერიალისტური ომისათვის მხარის დაჭერას, კოლონიალურ პოლიტიკის პრინციპში აყვანას; ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას; თანამედროვე სინამდვილეში სოციალური რევოლიუციის დაგმობას და იმპერიალიზმთან ერთად კაპიტალიზმის რესტავრაციის მიმართულებით მუშაობას; საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იმპერიალისტური ინტერვენციის გამართლებას; ბოლშევიზმის დასასამარებლად ევროპაში „სამხედრო ცენტრის“ და „სამხედრო ბლოკების“ დაარსებას; დენიკინ-ვრანგელ-კოლჩაკ-პეტლიურის რეაქციონურ მოძრაობათათვის ევროპის ბურჟუაზიულ კაპიტალთან ერთად ორგანიზაციულ-პოლიტიკურ და მატერიალურ დახმარებას; 2-ე ინტერნაციონალში შემავალ პოლონეთის „სოციალისტურ“ პარტიის წარმოებულ კონტრ-რევოლიუციონურ და თავდამსხმელ პოლიტიკის გამართლებას საბჭოთა რუსეთის, ლატვის, უკრაინის და ბელორუსიის წინააღმდეგ; გერმანიის სოციალ-დემოკრატიის იმპერიალიზმთან და ფაშიზმთან კავშირს მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასაქრობლად; ბოლგარეთის რეაქციასთან სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციულ-იდეოლოგიურ კონტაქტს პროლეტარიატის სოციალურ განმანთავისუფლებელ ბრძოლის წინააღმდეგ; ვერსალის ზავის განხორციელების და კაპიტალიზმის განმტკიცება-განვითარების მიზნით მოსალოდნელ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ პასივობის, უმოქმედობის და უმოძრაობის გამართლებას, და იმპერიალისტური ომის წინაღმდეგ მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო სამოქალაქო ომის გამოცხადების ნაცვლად ნაციონალურ კაპიტალთან კლასიურ თანამშრომლობის დამყარებას,—ყოველივე ამას და სხვა მრავალს არ ამართლებდა და არ ამართლებს 2-ე ოპორტიულ-ნაციონალისტური „ინტერნაციონალი“?

დიახ, ყოველ ამას მხარს უჭერდა და დღესაც მხარს უჭერს 2-ე ინტერნაც., და აი სწორედ ამიტომაც იყო და ამიტომაც არის რომ მასში შეიჭრა ეროვნული ეგოიზმი და მორალურ-პოლიტიკურ ბანკროტიზაციით მოხდა მისი მთლიანი კრახი.

და აი სწორედ ამით არის გამოწვეული ის გარემოებაც, რომ 3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს და 2-ე ინტერნაციონალის შორის პოლიტიკური კომპრომისის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია ისე, როგორც ასეთი რამ შეუძლებელია ბურჟუაზიას და რევოლიუციონურ პროლეტარიატს შორის.

მაგრამ აი ეხლა ვეკითხებით არალეგალურ მენშევიკურ ცეკას, რის მღაღადებელია და რის მომასწავებელია ყოველივე ზემოთქმული?

რას მეტყველებს ფაქტები, **განა არა იმას რომ 2-ე ინტერნაციონალი**, როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის ცენტრი, რომელიც თანამედროვე გარდამავალ პერიოდში იცავს არა რევოლიუციონურ პროლეტარიატის დიქტატურას, არამედ პარლამენტარიზმს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმს კოალიციური პოლიტიკის ნიადაგზედ, რომელსაც მარქსი ყოველთვის უარყოფით უყურებდა, როგორც ბერნშტეინიადას,—**წარმოადგენს უბრალო იარაღს რეაქციის და იმპერიალიზმისას და განმამტკიცებელ ფაქტორს ბურჟუაზიულ ფრონტისას?**

რასაკვირველია—კი.

და აი სწორედ ამიტომაც იყო რომ, როდესაც დაისვა საკითხი იმპერიალიზმისათვის თუ სოციალიზმისათვის მხარის დაჭერის შესახებ, და აი აქ 2-ე ინტერნაციონალმა კი მხარი დაუჭირა კაპიტალიზმის აღდგენას მეომარ იმპერიალიზმის მსგავსად და გარდაიქცა რეაქციის იარაღად, ხოლო ამის მიხედვით კი წამოიჭრა საკითხი ნაციონალური თუ ინტერნაციონალური სოციალიზმის, სოციალ-პაციფიზმის თუ რევოლიუციონური მარქსიზმის შესახებ,—ოპორტუნიზმის ზამთრის ხანგრძლივი ძილისაგან გამოფხიზლებულმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ მუშათა კლასთან ერთად დაგმო ძველი გზა, მოახდინა პარტიის თვით-ლიკვიდაცია და გაერთიანდა კომპარტიასთან მე-3 კომინტერნის დროშის ქვეშ, რადგანაც ის წარმოადგენს კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ამ **ერთად-ერთ** ინტერნაციონალს, რომელიც დღეს იწყებს გიგანტიურის ნაბიჯებით ორგანიზაციულად გაძლიერებას და პოლიტიკურ-მორალურ გამარჯვებით გაფთრებულ ბრძოლას მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის.

შ. ა—ძე.

# იტალია და საბჭოთა რესპუბლიკები.

საბჭოთა რესპუბლიკები, რომ დღითი დღე უფრო და უფრო მტკიცდებიან, ამას დღეს ბრმების მეტი ყველა ხედავს. ევროპის სახელმწიფოები ერთი მეორეს ეცილებიან საბჭოთა რესპუბლიკებთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებაში. ამას წინეთ სავაჭრო ხელშეკრულება დადებულ იქნა დანიასთან, იტალიასთან, ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს შვეციის და საბჭოთა რუსეთის დელეგაციებს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ერთი სიტყვით, ძველი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან წაშლილია და ახალი ურთიერთობა იწყება. ახლა საქმე იმაშია, თუ ვინ ვის გაუსწრებს საბჭოთა რუსეთთან ეკონომიური კავშირის გაბმაში.

ამ ჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს იტალიის პრემიერის მუსოლინის განცხადება. საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების განხილვის დროს პარლამენტში მან განაცხადა:

„უაზრობაა თავის მტრევევა იმ საკითხზე, თუ როგორი სოციალური და ეკონომიური ცვლილებებია კიდევ მოსალოდნელი რუსეთში: ეს რუსეთის შინაური საქმეა. რუსეთ და იტალიას აკავშირებს ნამდვილი და გასაგები სულიერი ძაფები. ეჭვს გარეშეა, რომ ყველა ევროპიული და არა ევროპიული სახელმწიფოები სცდილობენ ამჟამათ პირდაპირ თუ არა პირდაპირ დაამყარონ რუსეთთან ნორმალური და-

მოკიდებულება. ინგლისმა, საფრანგეთმა და შეერთებულმა შტატებმა შესამჩნევ შედეგებს მიაღწევს უკვე ამ მიმართულებით. ამიტომ, საკითხი საბჭოების ცნობის შესახებ არის ის შირმა, რომლის უკანაც უნდათ დამალონ კონკრეტიული სიმართლე. **ჩემთვის, იტალიის პრემიერისათვის, გაცილებით უკეთესია იყოს რომში რუსეთის ოფიციალური ელჩი, ვიდრე წარმომადგენელი, რომლის შესახებაც მე არ ვიცი - ვაჭარია ის თუ დიპლომატი, ან და ერთდაიმავე დროს ერთიც და მეორეც.**

სასარგებლოა თუ არა იტალიის მეურნეობისათვის და იტალიის ხალხისათვის რუსეთის რესპუბლიკის იურიდიულად ცნობა, ხელს შეუწყობს თუ არა ეს ეკონომიურ კავშირის დამყარებას იტალიისა და რუსეთის ხალხებს შორის? გიპასუხებთ, დიახ. მე ვაწარმოებ პოლიტიკას, რომელსაც გამოხატავს ფორმულა: **„ვაძლევ იმისთვის, რომ მომცენ“.** საბჭოების ცნობით მე შემყავს რუსეთი დასავლეთ-ევროპის საზოგადოებრივ და დიპლომატიურ ცხოვრების წრეში. მაგრამ ამისთვის რუსეთმა უნდა მომცეს მე ზოგიერთი რამ: კარგი სავაჭრო ხელშეკრულება, კონცესიები და ნედლი მასალა,“ რომელიც საჭიროა იტალიისათვის.“

რამ გამოიწვია მუსოლინის ასეთი განცხადება?

იტალია ომამდე და ომის შემდეგაც მოექცა ანტანტის (საფრანგეთის და ინგლისის) გავლენის ქვეშ. მისი საგარეო პოლიტიკა დამოკიდებული იყო ამ ორ ბუმბერაზ სახელმწიფოს პოლიტიკისაგან. იტალია დამოკიდებული იყო ამ სახელმწიფოებისაგან არა მარტო პოლიტიკის მხრივ, არამედ ეკონომიურადაც. იტალიის ბურჟუაზიას სრულებით არ უნდა, რომ ის დამოკიდებული იყოს ვინმესგან. მას სურს იმდენად გაძლიერდეს, რომ ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობა შეეძლოს. განსაკუთრებით საფრანგეთის ჯიბი აქვს, რადგანაც საფრანგეთი ეცილება მას შუა ხმელეთ ზღვის მიდამოებში.

ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იტალია ბუნებრივად ეძებს მოკავშირეს. მან ამას წინეთ „ლათინური კავშირი“ შექმნა ისპანიასთან. ის ასეთივე კავშირის დაჭერას აპირებს შუა ევროპის ახალ სახელმწიფოებთან. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ფაშისტური მთავრობა ამ მიზნით უარყოფს იტალიის წინანდელ მთავრობათა საგარეო პოლიტიკას. და საგარეო პოლიტიკაში ასეთი გადახრა მუსოლინის მთავრობას უკარნახებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას, მასთან დაკავშირებას. ამას აიძულებს მას არა მარტო პოლიტიკური მოტივები, არამედ ეკონომიური მოტივებიც. აშკარაა, რომ იტალიის მრეწველობა, რომელიც ძალიან გამოცოცხლდა მსოფლიო ომის შემდეგ, ეძებს ახალ ბაზრებს. მსოფლიო ომიდან იტალიას არაფერი მიუღია. მოკავშირეები მას მხოლოდ დაპირებებით კვებავდნენ. ამიტომ იტალიის მრეწველობას არ აქვს გასასაღებელი ბაზრები ზოგიერთი დარგი მრეწველობისა, როგორიცაა შალეულობის, საავტომობილო, ტყავეულობის, თუჯის განიცდის დეპრესიას. უმთავრესი გასატანი საგნები იტალიისა, როგორიცაა აბრეშუმი, ღვინო, ხილეულობა ვერ პოულობენ ბაზარს. იტალიის სავაჭრო ბალანსი პასიურია და ეს პასიურობა თან და თან იზრდება. შემოტანა გატანა ზემეტი იყო 1922 წ. მეორე ნახევარში 350 მილ. ოქრ. მანეთით, ხოლო 1923 წ. პირველ ნახევარში 426 მილ. ოქრ. მანეთით. ამიტომაა, რომ იტალიისათვის მეტად ხელსაყრელია საბჭოთა რუსეთთან დაკავშირება. აქ ის იპოვის თავის პროდუკტების გასასაღებელ ბაზარს. მას შეუძლია საბჭოთა რუსეთში გაასაღოს როგორც სასოფლო მეურნეობის პროდუკტები: ღვინო, ხილეულობა, ისე მრეწველობის პროდუქტები: ავტომობილები, ელექტრო-ტეხნიკური საგნები, სამიწათმოქმედო იარაღები, აბრეშუმის და ბამბების ქსოვილები. სამაგიეროდ იტალიაც დაინტერესებულია რუსეთიდან გაზიდოს: ნავთი და სხვა ნედლეული.

ამ რიგად, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური მოტივები იტალიას უკარნახებს საბჭოთა რუსეთთან დაიჭიროს ურთიერთობა. ამიტომ იყო მუსოლინიმ განაცხადა პარლამენტში, რომ ის ვერ ხედავს დამაბრკოლებელ მიზეზებს რუსეთის იურიდიულად ცნობისათვის.

„მე მირჩევნია აქ საბჭოთა ელჩი მყავდეს, ვინემ მისის ეკონომიური წარმომადგენელი, რომელიც ვაჭარია არვიცი, თუ სხვა ვინმეო. მუსოლინის ფორმულა მოკლა: „მომცემ, მოგცემო“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იტალია-რუსეთ შორის ახლო მომავალში დამყარდება ნორმალური ურთიერთობა.

გ. ვ.

# გერმანიის ამბების გარშემო

## შიმშილობა ბერლინში

გერმანიის კაპიტალიზმის ბანკროტი, გერმანიის სამეურნეო ცხოვრების დაშლა უკვე ფაქტია. მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ ეს „დაშლა“ საბჭოთა რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ნგრევის სახით, როგორც ეს იყო 1918-1919 წლებში. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ გაუთავებელი რიგებია დუქნების წინ ერთ მერვედი გირ. კარაქის მისაღებადო, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ბერლინში კარაქი არ იყოს. პირიქით, ბერლინში არის კარაქიც, ხორციც, ერთი სიტყვით ყველაფერი საჭირო; ყოველ გზა ჯვარედინზე ჩამწკრივებულია ავტომობილები, რომელთა დაქირავება და გასეირნება ყველას შეუძლია. შეგიძლიანთ თეატრში წახვიდეთ და ახალ წარმოდგენას დაესწროთ, შეგიძლიათ ოპერეტაზეც წახვიდეთ, ან შეხვიდეთ მაღაზიაში ახალი „იკრა“-სთვის, ან კაფეში, სადაც ყველაფერი იშოვება, მხოლოდ ტრილიონები უნდა გქონდესთ, ვინაიდან მილიარდებით უკვე არაა ანგარიში.

ბერლინი ახლაც მაგარი, განათლებული და მშვენივრად მოწყობილი ქალაქია ისე, როგორც ის ომამდე იყო. იქ კაპიტალიზმი უაღრესად არის განვითარებული. ბერლინი ფოლადის და ქვის ქალაქია, რომელიც მოეწონება და გააკვირებს არა მარტო საბჭოთა პროვინციელს, არამედ მოსკოველ მცხოვრებსაც.

მაგრამ ბერლინი ის არ არის, რაც იყო წინეთ. ქუჩებში მოძრაობა გაცილებით ნაკლებია იმაზე, რაც ერთი წლის წინეთ იყო; ტრამვაი ორი მესამედით შემცირებულია. მაღაზიებში, განსაკუთრებით კი უნივერსალურ მაღაზიებში, მყიდველები ცოტა არიან, მიუხედავად იმისა, რომ შობა მოახლოვებულია. შობის უქმეებში კი გერმანელი უკანასკნელ ფულს ხარჯავდა საჩუქრებისათვის და სხვ.

შეიძლება გადაუმეტებლად ითქვას, რომ მცხოვრებთა 90 პროცენტი არ სჭამს მაძღრად.

ძნელია იმის წარმოდგენა, რა ხანამდე დაეცა ბერლინის პროლეტარიატის ცხოვრების დონე — რასაკვირველია, მუშა ისეც სუფთადაა ჩაცმული; მის ბინაში თუმც მხოლოდ სამზარეულოსგან შესდგებოდეს (ოთახი კი გაქირავებული აქვს) გამეფებულია წესრიგი და სისუფთავე. მაგრამ რით იკვებება? გერმანიაში ამ ჟამად $4^{1}/_{2}$ უმუშევარია ნახევრად უმუშევართა გარდა. ბერლინში ამ ჟამად ისეთი მუშებიც არიან, რომელთაც 20—30 წელი უმუშავნიათ ლითონზე და დღეს იღებენ 6—7 ტრილიონს კვირაში, ე. ი. იმდენს, რამდენიც საჭიროა ერთი სამ თავი სადილისათვის რესტორანში. იმის შესახებ, რომ მუშა ვერ ხედავს თავის მაგიდაზე კარაქს, ხორცს და თევზს; ლაპარაკიც მეტია, ის იკვებება კარტოფილით, პურით და სუროგატებით.

ბერლინში შეიძლება წააწყდეთ ასეთ სურათს: მაღაზიაში შედის მშვენივრად ჩაცმული მუშა, სწორად დავარცხნილი თმით და კარგად გაწმენდილი ფეხსაცმელით... და ითხოვს მოწყალებას.

ეს უმუშევარია, რომელიც ცოტა ხნის წინეთ მუშაობდა ქარხანაში, ახლა კი პირდაპირ შიმშილობს. ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდებით მათხოვრებს. ეს მათხოვრები ყველა „რიგიანი“ ხალხია. ისინი მუშაობდნენ ქარხანაში და სცხოვრობდნენ კარგად, ახლა კი იძულებულნი არიან ითხოვონ.

ნახევრად შიმშილობს მუშებს გარდა მცხოვრებთა საშუალო ფენა: როგორც გაღატაკებული ელემენტები, რომელთაც არაფერი აქვთ საჭმელი, ისე ექიმები, ვექილები, მიწის პატრონები და სხვა, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ საჭმელი, მაგრამ მათ თანდათან უახლოვდება შიმშილის აჩრდილი. მათ ჯერ კიდევ მოეპოვებათ მშვენიერი ავეჯეულობა, ბინები, საცვლები და სხვ., მაგრამ ისინი თანდათან ყიდიან ქონებას. რა იქნება მას შემდეგ, როცა ყველაფერი გაიყიდება? ამაზე ვერავინ მოუგებს პასუხს. დამახასიათებელია, რომ ბერლინი სცხოვრობს, ასე ვსთქვათ, უპომავლოდ. არც პოლიტიკაში, არც სამეურნეო ცხოვრებაში არ სჩანს არავითარი პერსპექტივა... გარდა საერთო გაუვარესებისა.

ამ ჟამად ბერლინში ძალიან აწყობენ ქველმოქმედებას, რომ იხსნან სიკვდილისაგან დამშეულები. გარდა მუშათა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოებისა ფულებს აგროვებენ მრავალი სხვა საქველმოქმედო საზოგადოებანი და მშიერებს ქუჩაში ურიგებენ თფილ სადილს.

მაგრამ ამ დახმარებებზე დაყრდნობა არ შეიძლება. ამას წინეთ ამერიკელმა ხუვერმა გერმანიის დახმარების საკითხის შესახებ

განაცხადა, რომ გერმანიის დამშეულთა დახმარებას არ უნდა აწუხებდეს უცხო ქვეყანა, რადგანაც წელს გერმანიაში კარგი მოსავალი იყო და საკმაო პური მოუვიდათ, რომ მთელი მცხოვრებნი გამოკვებონო. აქ არის სიმართლეც. თუ გერმანიას საკმაო პური არ აქვს, გერმანიის კაპიტალისტებს ხომ მოეპოვებათ თანხები, რომ იყიდონ პური. მაგრამ გერმანიის შიმშილი განსაკუთრებული ხასიათის შიმშილია. ეს შიმშილია იმ დროს, როცა ბეღლები სავსეა: ასეული ათასები იხოცება ნახევრად შიმშილისაგან, ხოლო მეორეს მხრივ ასეული ათასები სიმაძღრისაგან და ქონისაგან სკდებიან; ბავშვები ათასობით დადიან უპერანგოთ მაშინ, როდესაც ბურჟუაზიის ქალები ფარჩებით იმოსავენ ტანს და ათას გვარ ძვირფასებით იმკობიან. ერთნი იღუპებიან გაჭივრებისაგან, ხოლო მეორეებმა არ იციან რა უყონ სიმდიდრეს. აი ჩიხი, რომელშიაც მოემწყვდა გერმანია კაპიტალისტების და მათი მოკავშირე „სოციალისტების" წყალობით. ამ მდგომარეობიდან მას გამოიყვანს მხოლოდ პროლეტარიატი. ის უკვე ემზადება ამისათვის.

---

# პოლიტიკური მიმოხილვა

## (კვირიდან კვირამდე).

ამ ჟამად პოლიტიკურ ჰორიზონტზე საერთო ყურადღებას იპყრობს შემდეგი მომენტები: 1) ინგლისის არჩევნების შედეგი. 2) გერმანია-საფრანგეთის მოლაპარაკება. 3) საბჭოთა კავშირი და უცხოეთი, კერძოთ კი ჩიჩერინის ნოტა შეერთებულ შტატებთან და ამ ნოტის შედეგი. 4) პოლონეთის მთავრობის კრიზისი და სხვა მრავალი უფრო მცირე მნიშვნელოვანი მოვლენები.

დავიწყოთ პირველ საკითხიდან.

* * *

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ინგლისის საპარლამენტო არჩევნებში მმართველი კონსერვატიული პარტია სასტიკად დამარცხდა, გაიმარჯვა მისდა მოულოდნელად მუშათა პარტიამ და აგრეთვე ლიბერალებმა. კონსერვატიულ პარტიას შარშან პარლამენტში ჰყავდა აბსოლიუტური უმრავლესობა, ამჟამად კი ის უმცირესობაში მოექცა. ციფრებში ასე იხატებოდა საპარლამენტო ფრაქციების შემადგენლობა: კონსერვატიულ პარტიას შარშან ჰყავდა 57% დეპუტატების საერთო რიცხვიდან, უკანასკნელმა არჩევნებმა მას მისცა მხოლოდ $42^1/_2$ პროცენტი. ლიბერალებს კი ნაცვლად 19 პროცენტისა, ახლა აქვთ 24 პროცენტზე მეტი. ხოლო მუშათა პარტიას ნაცვლად შარშანდელი 24 პროცენტისა, წელს აქვს 32 პროცენტი დეპუტატების საერთო რიცხვიდან

ამ რიგად, როგორც მკითხველი დაინახავს, ინგლისის პარლამენტში შეიქმნა საოცარი მდგომარეობა. არც ერთ პარტიას არ ყავს საპარლამენტო უმრავლესობა, რომელზედაც შეეძლოს დაყრდნობა მთავრობას. ინგლისის ტრადიციის თანახმად მთავრობის შედგენა მიენდობა ყველაზე უძლიერეს ოპოზიციის ლიდერს. ასეთი ოპოზიციაა მუშათა პარტია, ხოლო მისი ლიდერია მაკდონალდი. მაგრამ მაკდონალდის მთავრობა ვერ იარსებებს, თუ მას ლიბერალებმა არ დაუჭირეს მხარი, ხოლო ლიბერალები აცხადებენ, რომ ისინი იმ შემთხვევაში დაუჭერენ მხარს მუშათა პარტიას, თუ უკანასკნელი ცხოვრებაში გაატარებს ლიბერალების პროგრამას. ცხადია, ასეთ პირობებში მუშათა პარტია მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. მეორეს მხრით კონსერვატორები და ლიბერალები ყოველთვის უფრო ადვილათ შეთანხმდებიან ძირითად საკითხებში და შექმნიან მთავრობის კრიზისს, თუ მის სათავეში მუშათა პარტია იქნება.

ამიტომ მოსალოდნელია ახალი არჩევნების დანიშვნა ახლო მომავალში. მხოლოდ ეს გამოიყვანს ინგლისს ამ საპარლამენტო კრიზისიდან.

საერთოდ კი კონსერვატორების დამარცხებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისათვის. კონსერვატიული მთავრობაც რომ დარჩეს ქვეყნის სათავეში, ის მაინც იძულებული იქნება საბჭოთა კავშირის მიმართ თავისი პოლიტიკა შეცვალოს. ვფიქრობთ აწი მაინც არ ექნეს ადგილი ისეთ ტუტუცურ ნოტას, რომლითაც შარშან ლორდ კერზონი გაუმასპინძლდა რუსეთს.

ალსანიშნავია, რომ ლიბერალების ორგანო მოითხოვს საბჭოთა რუსეთის იურიდიულ ცნობას.

მუშათა პარტია, როგორც ყველამ ვიცით, დიდი ხანია მოითხოვს საბჭოთა რუსეთის ცნობას და მას ამ ჟამად საშვალება ეძლევა ეს თავისი მოთხოვნა გაანაღდოს.

ამ რიგად საბჭოთა რუსეთის მიმართ ინგლისის პოლიტიკა შეიცვლება რუსეთის სასარგებლოდ.

როგორი იქნება მისი საგარეო პოლიტიკა საფრანგეთის მიმართ? აქ აშკარაა, რომ დღევანდელი ინგლისის მთავრობა ვერ დაიჯენს თავზე პუანკარეს, როგორც ეს ხდებოდა ბალდვინის და ბონარ ლოუს პრემიერობის დროს; უსათუოდ შეამცირებს ახალი კაბინეტი პუანკარეს იმპერიალისტურ მადას. ეს აშკარაა.

* * *

პუანკარე-ომი ახლა უკვე ისე აღარ ომობს, როგორც აქამდე. მკითხველებმა იციან, რომ ის წინააღმდეგი იყო გერმანიასთან ყოველგვარი მოლაპარაკების დაწყების. მას უნდოდა გერმანიის განადგურება და არავის ანგარიშს არ უწევდა.

მაგრამ ამ ჟამად ის თანახმაა გერმანიასთან მოლაპარაკება დაიწყოს ყველა იმ საკითხებზე, რომელსაც გერმანიის მთავრობა წამოაყენებს. ნათელია პუანკარე დააფიქრა არჩევნებში კონსერვატორების დამარცხებამ. პუანკარესათვის აშკარაა, რომ კონსერვატორების დამარცხება გამოიწვევს საფრანგეთის პოლიტიკის შეზღუდვას რურის ოლქის და რეინლანდის საკითხებში. ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ 1924 წლის დასაწყისში საფრანგეთში იწყება პარლამენტის ხელახალი არჩევნები. პუანკარე ამ არჩევნებისათვის ემზადება და ცდილობს მის პარტიას ეგ. წოდ. „ნაციონალურ ბლოკს" არ ეწვიოს ინგლისის კონსერვატორების ბედი. ასეა, თუ ისე, პუახკარე თანახმაა გერმენიასთან მოლაპარაკება დაიწყოს. პასუხში, რომელიც გადაეცა გერმანიის რწმუნებულს, გამოცხადებულია თანხმობა გერმანიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დაწყების ყველა იმ საკითხებზე, რომელთაც წამოაყენებს ბერლინის მთავრობა. შემდეგ პუანკარე აცხადებს, რომ თუ მოლაპარაკება შეეხება მოკავშირეთა საკითხებს, როგორც მაგალითად საკონტრიბუციო საკითხს, ის იტოვებს უფლებას გამართოს მოლაპარაკება მოკავშირეებთან, რადგან ეს საკითხი საკონტრიბუციო კომისიის კომპეტენციაში შედის. რაც შეეხება რურსა და რეინლანდს, პუანკარე მზად არის განიხილოს წინადადება „მოლდუს ვიგენდის" დამყარების შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ საფრანგეთბელგიის ადმინისტრაცია და რეინლანდის კომისია განაგრძობენ მუშაობას.

საფრანგეთის მთავრობა მზად არის გერმანიის მრეწველებთან ერთად განიხილოს ეკონომიური ცხოვრების აღდგენის და აგრეთვე გადასახლებულ მოხელეების უკან დაბრუნების საკითხი, მაგრამ იტოვებს ზოგიერთი საქმეების ცალკე გამოყოფის უფლებას.

ნოტა თავდება მითითებით იმაზე, რომ გერმანიის მთავრობა ლოიალურად შეასრულებს ვერსალის ხელშეკრულებას და ამით უზრუნველყოფს მოკავშირეთა სამხედრო-საკონტროლო კომისიის ნორმალურ მუშაობას გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია:

გერმანიის მთავრობა ყოველმხრივ ხელს შეუწყობს გერმანიის გადახდის უნარიანობის გამომწვევ ექსპერტთა კომისიის მოქმედებას. გერმანიის მთავრობა იცავს იმ თვალსაზრისს, რომ სარეპერაციო და რურ რეინის საკითხების გადაჭრა შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ ამ საკითხების ხელახალი გადასინჯვით ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოების მონაწილეობით გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ ოკუპაციით დაკავებულ ოლქებში მდგომარეობის სისწორით გამორკვევის გარეშე ქვეკომისიის და სარეპერაციო კომისიების მუშაობას არავითარი შედეგი არ მოყვება. პირველ რიგში უნდა გადაიჭრას საკითხები გადასახლებულ მოხელეების და აგრეთვე ოკუპაციით დაკავებულ ოლქებსა და დანარჩენ გერმანიას შორის თავისუფალი მიმოსვლის შესახებ.

ამ რიგად, როგორც ვხედავთ ორივე მხარე თანახმაა მოლაპარაკება დაიწყონ. ვნახოთ მოლაპარაკების შედეგი როგორი იქნება.

* * *

უკანასკნელ ხანებში ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოები ცდილობენ დაუახლოვდნენ საბჭოთა კავშირს და მასთან საქმიანი

ურთიერთობა დაიწყონ. დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება იტალიის პრემიერის მუსოლინის განცხადება საბჭოთა რუსეთის იურიდიულად ცნობის შესაძლებლობის შესახებ. საფრანგეთის ვაჭარ-მრეწველთა და ფინანსისტების ყრილობამ აშკარად აღიარა, რომ საბჭოთა რუსეთი ცნობილ უნდა იქნას და მასთან სავაჭრო კავშირი აღდგენილიო. დანიამ უკვე შეკრა საბჭოთა ქვეყანასთან საჭირო კავშირი. რუმინიის დელეგაცია უკვე ოდესაში ჩ.ვიდა ასეთივე კავშირის შექმნის. მიზნით. ერთი სიტყვით ყველა ცდილობს საბჭოთა რუსეთთან ეკონომიერთიობისურთური დაწყება-განვითარებას.

საინტერესოა შეერთებულ შტატების და საბჭოთა კავშირის ურთიერთ დამოკიდებულება.

ამხ. ჩიჩერინმა შეერთებული შტატების პრეზიდენტს კულიჯს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა მუდამ ისწრაფვოდა მეგობრულ ურთიერთობის დამყარებისაკენ შეერთებულ შტატებთან და მას არა ერთხელ გამოუთქვამს ამერიკის მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყების სურვილი. გაეცნო რა პრეზიდენტის მიმართვას კონგრესისადმი, საბჭოთა მთავრობა სრულ თანხმობას აცხადებს განიხილოს შეერთებული შტატების მთავრობასთან ერთად ყველა ის საკითხები, რომლებიც აღნიშნულია მიმართვაში და მზად არის აგრეთვე ამ მოლაპარაკებას საფუძვლად დაუდვას შინაურ საქმეებში ურთიერთ არ ჩარევის პრინციპი.

ფინანსიური პრეტენზიების საკითხის გამო, რომელზედაც ლაპარაკობს პრეზიდენტის მიმართვა, საბჭოთა მთავრობა მზად არის გამართოს მოლაპარაკება ამ საკითხის ურთიერთ დაკმაყოფილების ნიადაგზე გადაჭრის შესახებ. საბჭოთა მთავრობა მზად არის გააკეთოს ყველაფერი, რაც კი მასზეა დამოკიდებული, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენისათვის.

გაზეთების ცნობით კულიჯი უკვე შეუდგა საბჭოთა კავშირის ნოტის განხილვას. ნოტა სრულიად გამოქვეყნდა ნიუიორკის ყველა გაზეთებში. ამერიკის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ჩიჩერინის ნოტა პირველი ნაბიჯია საბჭოთა კავშირის და შეერთებულ შტატებ შუა მოლაპარაკების დაწყების. რუსეთის საგარეო ვაჭრობის რწმუნებულმა ნიუიორკში ხურგინმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატების მცხოვრებლების მხრივ რუსეთის მიმართ არავითარ ოპოზიციას არ აქვს ადგილი. ანტი საბჭოთა კომპანიას აწარმოებენ რუსეთის ყოფილი წარმომადგენლობა ბახმეტიევის სახით და ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე გომპერსი, მაგრამ ეს გავლენას არ ახდენს არც ფართო მასსზე და არც მთავრობის წრეებზე. ხურგინის აზრით მალე დამყარდება ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეერთებულ შტატებ შორის.

* * *

პოლონეთში მდგომარეობა თანდათან უარესდება. ეკონომიური ცხოვრება მოშლილია. ფინანსიური არეული. პოლიტიკური კი კრიტიკული. მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა პარლამენტის უმრავლესობამ და ის გადადგა. ახალი მთავრობის შედგენა მიანდვეს გლეხთა პარტიის წარმომადგენელ ტუგუტის, მაგრამ მან უარი განაცხადა.

უკანასკნელი ცნობებით მთავრობა შემდგარა გრაბსკის მეთაურობით. ჯერ არ შეიძლება ამ მთავრობის მომავალ პოლიტიკაზე რამე გადაჭრილის თქმა. მაგრამ აშკარაა, რომ პოლონეთიც გატყდა საბჭოთა კავშირის მიმართ. მან უკვე იურიდიულად იცნო საბჭოთა რუსეთი და მით აღიარა პუანკარეს პოლიტიკის დამარცხება რუსეთის საკითხში. ყველამ იცის, რომ პოლონეთი საფრანგეთის ნაგაზი იყო, რომელსაც ის გამოუშვებდა რუსეთის წინააღმდეგ ყოველ წუთს, როცა კი უბრძანებდა. ეს ერთი ხანია, რომ პუანკარემ პოლონეთი მოხსნა ამ „თანამდებობიდან“ და ეს საქმე ჩეხოსლოვაკიას დააკისრა. აქაც კისერს მოიტეხს ბატონი და მონა—ორივე.

---

# ერთი დღით პროვინციაში.

(შთაბეჭდილება.)

15 დეკემბერს სხვა და სხვა საქმეების გამო მე წასვლა მომიხდა დასავლეთ საქართველოში და შემთხვევით ჩავიარე სოფ. სვირში. მატარებელი სიჩქარით მიჭრის, მისრიალებს ვიწრო წიფის ხეობაში და თან მიმაქანებს იქითკენ, სადაც შარშან აი ამ დროს ველურად ტყეში დავრძწოდი და ჩემი უმგვანო საქციელით შიშის ზარს ვგვრიდი საბრალო გლეხობას.

და აი, შარშანდელ პროვოკატორ-ავანტიურისტს, დღეს მიმაქანებს მატარებელი იმ საწყალ ხალხთან, რომლებსაც ვამხედრებდი არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ. მივდივარ მტკიცეთ, შეურყევლათ, ს რულიად გამოფხიზლებული, შეგნებული და ძალდაუტანებლად დამდგარი ახალ გზაზე.

რაც უფრო მატარებელი უახლოვდება იმ სოფლებს, ჩემი გული უფრო ტოკავს, ზედმეტად ღელავს, თან ვფიქრობ, როგორ შემხვდება ჩემი ნაცნობ-მეგობრები, რას იზამენ, ან რას მეტყვიან?!. მოეწონებათ ჩემი ახალი გზა, ჩემი შემცდარი ნაბიჯის გამოსწორება?!. შეიძლება ლანძღვა—გინებით შემხვდენ, ან თვალები ამარიდონ, რომ არ დამიძახონ საზიზღარი „მოღალატე“. მაგრამ ფიქრები გამიქარწყლდა, როდესაც დილის 6 საათზე უკვე ქ. ზესტაფონში ჩავედი; ხალხი ბუზივით მესევა და მეკითხება ახალ-ახალ ამბებს. ყველას აინტერესებს „საინიციატივო ბიუროს“ მუშაობის შედეგები. დაწვრილებით აუხსენ „ბიუროს“ მიერ თავის მისიის დამთავრება და უთხარ, რომ ჩვენ ხმას დღეს აჰყვა მთელი საკავშირო რესპუბლიკები და ამ მოკლე ხანში გადაწყვეტილია მთელი ამ რესპუბლიკების კონფერენციის მოწვევა ქ. მოსკოვში, რათა პროლეტარულ რაზმებს კიდევ მოემატოს ახალი ლაშქარი.

ყველას „სიხარულის“ ღიმილი აქვს სახეზე, ყველას ეტყობა კმაყოფილება ჩვენი ასეთი გადაწყვეტილებით, განსაკუთრებით რკინის გზის მუშებს, რომლებიც დაახლოვებით მიცნობენ მე. მათ უხარიათ, რომ სამუდამოთ უკუვაგდე ავანტიურისტული გზა და მუშათა რევოლიუციონურ მებრძოლ რიგებს შეუერთდი. მოდიან ამხანაგი კომუნისტებიც, რომლებიც წინეთ ასაფრენ ქორივით მიყურებდენ. კვირას დილის 7 საათზე ზესტაფონიდან, ფეხით გავემგზავრე სოფ. სვირისკენ. სვირის ქედი... ეს ის მთებია, რომელმაც შარშან მე შემიხიზნა და შემინახა. გული ტოკავს... გული სძგერს, მთლად ვცახცახებ აღელვებული.

ყველაზე უფრო მაინტერესებს, რას იტყვის ხალხი, რომ ჩემში ასეთნაირ გარდატეხას დაინახავს?!.. შარშან, თუ ამ ხალხის წინაშე ვაძაგებდი არსებულ ხელისუფლებას, თუ ვამხედრებდი მის წინააღმდეგ, დღეს მთავრობის გამაგრებისკენ მოუწოდებ და რევოლიუციონურ აღმშენებლობისაკენ... დღეს ხალხის გასაგონათ ვაღიარებ, ვინც ხელს უშლის მთავრობას მუშაობაში, ის მტერია მუშათა კლასის და ის ფაშისტების საქმეს აკეთებს.

...ჩაველ სვირში. ჩემთან მოვიდნენ ამხანაგები, ნაცნობები. ვებაასე. ყველა იწონებს ახალ-გზას, აღიარებს მის სისწორეს.

მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ ამ სოფელში კიდევ დარჩენილა ერთი ან ორი პროვოკატორ-ავანტიურისტ-პარაზიტი, რომლებიც სწამლავენ საბრალო გლეხობას და ასეთ ვაჟბატონების ამოსაფხვრელად საჭიროა ენერგიული ზომები. ხალხმა და ამხანაგებმა მწუხარება გამოსთქვეს, რომ ჩვენი მხრიდან არავინ ჩადის იქა და აგრეთვე ჩვენი ჟურნალი „სიმართლის ხმაც“ არ მიდის და ითხოვეს ჟურნალი „ბლომათ გამოგზავნეთო“. ამასთანვე კარგი იქნება, თუ დრო გამოშვებით ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგებიც ჩავიდოდნენ ამ გვარ სოფლებში და პროვოკატორ-ავანტიურისტებიდან აბნეულ გლეხებს სწორ განმარტებას მისცემდენ საქმის ვითარებაზე.

მე მინდოდა, რომ მქონოდა დრო, ჩამომევლო ყველა ის სოფლები, სადაც შარშან მე დავთარეშობდი და რომლებსაც პროვოკაციის ქსელში ვახვევდი, განმემარტა მათვის საქმის სისწორე.

მაგრამ არაფერია, მშრომელ ხალხის გულში, ისედაც შედის სიმართლის შუქი და იმედია, რომ მოკლე ხანში განიკურნება ჩვენი გლეხობაც ავანტიურისტ-პროვოკატორებიდან და თითონვე სასტიკ პასუხს მოთხოვს მათ მშრომელი ხალხის ღალატისათვის...

**ილიკო ჯუღელი.**

---

# ქრონიკა

✦ **როგორც** ტფილისში, ისე პროვინციაში მყოფ ამხანაგებს, ვსთხოვთ მოგვაწოდონ წერილები და კორესპოდენციები ჟურნალში მოსათავსებლად.

წერილების გამოგზავნა შეიძლება უმარკოდაც.

◆ **უკვე** მიღებულია ზომები, რომ „სიმართლის ხმის“ რამოდენიმე ცალი იგზავნებოდეს ყველა პარტკომებში, სამაზრო და თემის ალმასკომებში და აგრეთვე სამკითხველოებში უფასოდ გასავრცელებლად, როგორც ყოფილ მენშევიკებში, ისე მუშათა მასსაში.

პროვინციელ ამხანაგებს კვლავ ვსთხოვთ თუ სადმე არ მიდის ჩვენი „სიმართლის ხმა“ დაუყოვნებლივ გვაცნობონ.

◆ **ვინაიდან** კომისიას მოსდის ცნობები, რომ ზოგიერთი მენშევიკები, რომლებსაც ოფიციალურად არ გაუწყვეტიათ კავშირი მენშევიკურ პარტიასთან და აგრეთვე ისეთი პირები, რომელთაც არასოდეს არ ქონია კავშირი მენშევიკურ პარტიასთან, დღეს ისახელებენ თავს ყოფილ მენშევიკებად და ამით შეყავთ შეცდომაში ამხანაგები, ამიტომ კომისიამ დაადგინა მისწეროს ყველა დაწესებულებებს, რომ ყოფილ მენშევიკად ჩაითვლება მხოლოდ ის, ვინც წინათ მუშაობდა ამ პარტიაში, ხოლო ეხლა გაწყვიტა მასთან ყოველივე კავშირი, რის შესახებ ქონდა პრესაში გამოცხადებული, ან სალიკვიდაციო კონფერენციებზე და ყრილობაზე იღებდა აქტიურ მონაწილეობას.—

◆ **გუშინ 22** დეკემბერს თფილისში მოწვეული იყო ცეკას თეზისების გამტარებელი კომისიის გაფართოვებული სხდომა ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად.

◆ **ამხ. ალ. ფარნიევი** თფილისში დაბრუნდა. მან რუსეთში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ მოხსენებები გააკეთა გურიის თითქმის ყველა პუნქტებში და ბათუმში.

◆ **25 დეკემბერს** თფილისში მოწვეულია საქართველოს კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობა. დღევანდელ პირობებში, როცა სამეურნეო ფრონტზე დამკვრელ ამოცანად აღიარებულია „სმიჩკა“ ქალაქსა და სოფელს შორის, კოოპერაციას ფრიად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ყრილობა ამ საკითხს უსათუოდ დიდ ყურადღებას მიაქცევს.

◆ **25 დეკემბერს** დანიშნულია თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების მეოთხე მოწვევის საბჭოს სხდომა.

◆ **30 დეკემბერს** მოწვეულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგშია: მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება, საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, მოხსენება საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ, მოხსენებები ცალკე კომისარიატებისა და სხვ.

## სხვა და სხვა ამბები.

◆ **გერმანიის** ს. დემოკრატიული პარტიის დაშლა გრძელდება: პომერანიის და გალლეს საოლქო ყრილობებმა უნდობლობა გამოუცხადეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

◆ **ჰამბურგის** სოც. დემოკრატიაში ამას წინეთ ირიცხებოდა 70 ათასი წევრი, ამჟამად კი—48 ათასი ირიცხება.

◆ **კომპარტიის** რიცხვი მთელს გერმანიაში იზრდება. მარტო საქსონიაში მუშათა მთავრობის დარბევის შემდეგ (ეს კი ორი თვის წინეთ მოხდა) კომპარტიის წევრთა რიცხვი 7, 000-დან გაიზარდა 16.000-დე).

◆ **იტალიის კომპარტიამ** გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

◆ **ინგლისის არჩევნების** საბოლოო შედეგი ასეთია: კონსერვატორებმა მიიღეს 256 მანდატი, მუშათა პარტიამ კომუნისტებთან ერთად—191, ლიბერალებმა—159, დანარჩენ პარტიებმა—7.

◆ **მუშათა** პარტიამ შესაძლებელია თავის თავზედ აიღოს მთავრობის შედგენა, თუ კი მას ასეთ წინადადებას მისცემენ,

◆ **„დაშლილ“** კომუნისტურ პარტიას სამხედრო სარდლობამ ნება დართო მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

◆ **ბერლინში** პოლიციამ დაატუსაღა უმუშევართა არალეგალური ყრილობა. ამის გამო კარის მიერ „დაშლილმა“ კომპარტიამ გამოაქვეყნა საპროტესტო მოწოდება და მუშებს ბრძოლისაკენ მოუწოდა.

◆ **კომპარტიას** გერმანიაში სასტიკად დევნიან. მარტო ბერლინში დაპატიმრებულია 300 კომუნისტი.

◆ **პოლონეთის** მთავრობა გადადგა, რადგანაც პარლამენტის უმრავლესობამ უნდობლობა გამოუცხადა. შესდგა ახალი მთავრობა სახალხო დემოკრატ გრაბსკის მეთაურობით.

◆ **საბერძნეთის** არჩევნებში გაიმარჯვეს ვენიზელოსის მომხრეებმა და რესპუბლიკანელებმა. ამიტომ მინისტრთა საბჭომ მეფე გიორგის ურჩია საბერძნეთის დატოვება. გიორგიმ დატოვა საბერძნეთი და გადავიდა რუმინიაში. ამ რიგად მონარქია დაემხო და რესპუბლიკანურმა მიმართულებამ გაიმარჯვა.

## საბჭოთა რუსეთი და უცხოეთი.

◆ **პოლონეთმა** იურიდიულად იცნო საბჭოთა რუსეთი.

◆ **ამერიკის შეერთებული** შტატების პრეზიდენტმა კულიჯმა საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეებთან საუბრის დროს განაცხადა, შესაძლებელია საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დაწყებაო.

◆ **ნორვეგიის** პარლამენტში პარლამენტის წევრმა მადსენმა წინადადება შეიტანა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

◆ **რუმინიის** საზოგადოებრივი წრეები შესაძლებლად სთვლიან საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას.

◆ **საფრანგეთის** ვაჭარ-მრეწველთა და ფინანსისტების ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთი ცნობილ უნდა იქნესო. იმავე ყრილობამ განაცხადა, რომ რუსეთისაგან ძველი ვალების მოთხოვნა უაზრობაა, რადგანაც მას მიცემა არ შეუძლიაო.

◆ **ინგლისის** კონსერვატიული გაზეთი სწერს: „მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ კონსერვატორებმა ხელიდან გაუშვეს საბჭოთა რუსეთის ცნობის შემთხვევაო. ჩვენ იმვი არ გვეპარება, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობა მუშათა პარტიის მთავრობის პირველი აქტი იქნებაო. გაზეთი აღნიშნავს, რომ ლოიდ-ჯორჯს ორი წლის წინეთ უნდა ეცნო საბჭოთა მთავრობაო.

## ხმა პროვინციიდან.

დღეს მთელი მუშების ყურადღება მიქცეულია მუშათა საერთო ფრონტის შექმნისაკენ. ნაწილობრივ ეს უკვე მოღწეულია, რომელიც გამოიხატება ყოფილ. მენშევიკთა საბჭოთა პლატფორმაზე დადგომით. ძველი პარტიული მუშები სიხარულით ეგებებიან ამ მოვლენას, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გაზეთ „სიმართლის ხმამ“ ფართე ასპარეზი მოიპოვოს მუშებში და რომ ის გახდეს ნამდვილ „სიმართლის ხმად“. ამიტომ უნდა მოეწყოს მისი დაგზავნა მუშათა რაიონებში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პროვინციებში დაგზავნას. არც ერთი სამკითხველო არ უნდა დარჩეს, რომ არ მიდიოდეს სიმართლის ხმა“. მაგალითად სამტრედიის რკინის გზის კონდუკტორთა სამკითხველოში მოკლებულნი არიან ამ გაზეთს და კიოსკშიაც ძვირად შეხვდებით გასაყიდათ.

**ა. თოფაძე.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

საქ. სოც. დემოკრატიულ პარტიაში მე ვმუშაობდი 1920 წლამდე, თუმცაღა არა სისტემატიურად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეგობრულ და ნათესაურ ურთიერთობის ნიადაგზე მომიხდა მენშევიკურ პარტიის ზოგიერთ არალეგალურ და აქტიურ წევრებთან კავშირის დაჭერა და აგრეთვე პარტიულ მუშაობაშიც მონაწილეობის მიღება. ხოლო ა. წ. მაისის შემდეგ, როცა მენშევიკური პარტიის აბსოლიუტურმა უმრავლესობამ მოახდინა პოლიტიკური მდგომარეობის სწორი შეფასება და უარყო პარტიის ძველი გზა—მე პარტიაში აღარ მიმუშავნია. შესაძლებელია, ზოგიერთ ჩემს ნაცნობ-მეგობრებს კიდევ ჰგონიათ, თითქოს მე ვიზიარებდე მენშევიკურ პარტიის მსოფლმხედველობას, და ამიტომ ვაცხადებ, რომ, სრულიად ვიზიარებ ს. დ. მუშათა პარტიის ყრილობის დადგენილებებს და მთელი ჩემი ენერგიით ხელს შევუწყობ მათ ცხოვრებაში გატარებას.

**ისაკი ხინველი.**

1916 წლიდან ვირიცხებოდი სოც. დემ. მ. პარტიაში და შეძლების და გვარათ ვმუშაობდი კიდეც. ჩემზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ მივიღე მონაწილეობა საქართველოს ს. დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, რამაც მომცა ზედმეტი საშვალება გადამეფასებინა ჩვენი წარსული და აწმყო. ღრმა შეგნებით ვიზიარებ რა ამხანაგების მიერ არჩეულ ახალი გზის სისწორეს, მეც სავსებით უერთდები მათ ყველა დადგენილებებს.

**თეოფილაქთე მ. ნიქაბაძე.**

**სარედაქციო კოლეგია:**
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
კ. შენგელია.
გ. ვარდოიანი.

ს. ს მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ № 920 ტირაჟი 1000